



უნივერსიტეტი

16
ნოემბერი,
ოქტომბერი,
2016 წ., №13

ცვლილებების აუცილებლობა უნივერსიტეტში



act კვლევა

გვ. 6

ნომერი

■ **თსუ-ს ახალი პროექტორი ჰყავს**

გვ. 2

■ **რისი გაკეთება იგეგმება უნივერსიტეტში**



გვ. 3

■ **თსუ-ში ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი იქმნება**

გვ. 5

■ **ნაკოლაონ კვარაცხელიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცან**

გვ. 5

■ **დათო მაღრაძის კრებულის პრეზენტაცია თსუ-ში**

გვ. 14

სურ-მუიკი

გვ. 7-10 გვ.



კომპოზიტორი დრამატურგიული აზროვნებით

გია ყანჩელიის საღამო თსუ-ში

გვ. 7



თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობს

თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფებმა სტრატეგიული განვითარების პირველადი დოკუმენტის (2017-2021 წწ.) შესახებ მოსაზრებები და წინადადებები წარმოადგინეს. შეხვედრა თსუ-ის ვიცე-რექტორმა მიხეილ ჩხენკელმა გახსნა: „ჯგუფებში და რექტორატშიც ინტენსიური განხილვა მიმდინარეობდა, შევიტანეთ გარკვეული შესწორებებიც. უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის გეგმის პირველ ვერსიას სერიოზული დახვეწა სჭირდება“, — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა. სამუშაო ჯგუფების წევრებმა წარმოადგინეს შენიშვნები დოკუმენტში ტერმინების დაზუსტებასთან დაკავშირებით; მიაჩნიათ, რომ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში თსუ-ის განვითარებისთვის საჭირო ცვლილებები თეზისების დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს

და განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებები ცალკე, სამოქმედო დოკუმენტში გაიწეროს, რომელიც ცვლადი ხასიათის იქნება. რექტორატისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების თანამშრომლობა მხოლოდ თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებით არ სრულდება. „გადაწყვეტილებას ყველა ერთად ვიღებთ. ჩვენ ვართ თანასწორები, კოლეგები. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, 2017 წლიდან, შეიქმნება სამუშაო ჯგუფები, სადაც შევლენ პროფესორები, სტუდენტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები. ისინი სამოქმედო გეგმის განხორციელებას მონიტორინგს გაუწევენ. ეს დოკუმენტი ღია იქნება და ეტაპობრივად ცვლილებების შეტანაც შეგვეძლება. პროცესში ჩართული ყველა ადამიანის აზრი მაქსიმალურად

იქნება გათვალისწინებული“, — აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა. ამ დროისთვის დოკუმენტზე 7 თემატური სამუშაო ჯგუფი მუშაობს: 1. უნივერსიტეტის მართვა; 2. თსუ-ის ინფრასტრუქტურის განვითარება; 3. სტუდენტური ცხოვრება და სტუდენტთა მომსახურება; 4. სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა; 5. საგანმანათლებლო საქმიანობა; 6. თსუ-ის საქმიანობის ხარისხის შეფასება; 7. საზოგადოებასთან ურთიერთობა. თითოეულმა ჯგუფმა თსუ-ის რექტორატს წინადადებები მოხსენებების საშუალებით და წერილობითი სახით მიანოდა. უნივერსიტეტის მართვის გაუმჯობესების მიმართულებით სამუშაო ჯგუფი აუცილებლად მიიჩნევს ადმინისტრაციის

გვ. 3 გვერდზე

კიბოს მკურნალობის ინოვაციური მეთოდი

კიბოს მკურნალობის ახალი მეთოდი 10 წლიანი მუშაობის შემდეგ შემუშავდა კანადის კორპორაცია „ფარმა კანადას“ მიერ. ავტორები კანადაში მცხოვრები ქართველი მეცნიერი, კორპორაცია „ფარმა კანადას“ დირექტორი, მედიცინის დოქტორი ბესიკ სურგულაძე და „ფარმა კანადას“ წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, მედიცინის დოქტორი თამარ ცვიტიშვილი არიან. კვლევის პროცესში სხვადასხვა ეტაპზე „ფარმა კანადას“ თანამშრომლობდა ამერიკის, გერმანიისა და საქართველოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან. ამ დროისთვის მეთოდის კლინიკურ დაწერვაზე მუშაობა ისრაელში, თელ-ავივის უნივერსიტეტსა და საქართველოში, კიბოს კვლევის ცენტრში იგეგმება. ინოვაცია მკურნალობის დროს დამიზნებითი ჰიპერთერმული თერაპიის სამკურნალო-დიაგნოსტიკური მეთოდის გამოყენებას გულისხმობს, რომელიც მიკროსკოპული ზომის დაზიანებების აღმოჩენა-მკურნალობის საშუალებას იძლევა.



მეცნიერო ფონდის მიერ დაშვებული გრანტის ფარგლებში (საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი: ბესიკ სურგულაძე) განხორციელდა. თსუ-ის მორფოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის დიმიტრი კორძიას განცხადებით, „პროექტმა დაადასტურა ვარაუდი (სამეცნიერო ჰიპოთეზა) ნანონანოლაკებზე ელექტრომაგნიტური ველით ზემოქმედების შედეგად მათი „ინვივო“ გახურებისა და ირგვლივ მდებარე ქსოვილებზე თერმული ზემოქმედების შესაძლებლობის თაობაზე.

გვ. 11 გვერდზე

სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატობის კანდიდატების რეგისტრაცია 14-დან 18 ნოემბრის ჩათვლით ინარმოებს



იახტიურა!
შეჩვენი ახალი რეალობა
25 ნოემბერი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების დღეა

გვ. 2 გვერდზე



ტსუ-ს ახალი პროექტორი ჰყავს



ტსუ-ის რექტორს ახალი მოადგილე ყავს. გიორგი შარვაშიძემ პროექტორის პოსტზე პროფესორი მიხეილ ჩხენკელი დანიშნა, რომელიც ტსუ-ის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩაერთვება. გიორგი შარვაშიძემ ახალი პროექტორი საზოგადოებას 1 ნოემბერს პრეზენტაციაზე წარუდგინა. რექტორის განცხადებით, მიხეილ ჩხენკელი მისი კვალიფიკაციის, უცხოურ უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით შეარჩია. იგი გახლავთ სრული პროფესორი, აქვს ამერიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობის დაახლოებით 20 წლიანი გამოცდილება, საქართველოში 2008 წელს დაბრუნდა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელია. შესაბამისად, ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ პრობლემებსაც კარგად იცნობს.

„ჩემთვის დიდი პატივია მშობლიურ უნივერსიტეტში დაბრუნება. მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ჩემს მთელ ენერჯიას, ცოდნას და გამოცდილებას ალმა-მატერის განვითარებას მოვხმობ. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალისხმევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მსოფლიო რანგის უნივერსიტეტებს შორის დავამკვიდრებთ. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ტსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაზე. მასში ასახულ ერთერთ მთავარ საკითხზე მე ვმუშაობ, ვგულისხმობ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აკადემიურ პროცესში ინტეგრაციას. ეს ხელს შეუწყობს როგორც სწავლების ხარისხის გაზრდას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი პროცესის გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად დამატებით ვგეგმავთ ქართული ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას და უცხოელი პროფესორების მოწვევას. ჩვენი პრიორიტეტია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების დონე მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამებოდეს“, — აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა ღია დოკუმენტია. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ერთად შევქმნით ისეთ მომავალს, რომელიც ყველას გვინდა, რომ გვეკონტაქტოს. ტსუ-ის რექტორის აქვს პრეროგატივა, რომ შეარჩიოს პროექტორი და მე ეს არჩევანი გავაკეთე. მიხეილ ჩხენკელი უხელმძღვანელებს იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია სტრატეგიულ დაგეგმარებასთან, საერთაშორისო კონტაქტებთან და იმ ახალ შინაარსთან, რომელიც საუნივერსიტეტო სივრცის გადაყვანას გვსურს“, — განაცხადა ტსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

პრესკონფერენციაზე გიორგი შარვაშიძე სტუდენტური თვითმმართველობის საკითხსაც შეხუდა და განმარტა, რომ სტუდენტების გადასაწყვეტია, თუ როგორი ფორმით იარსებებს სტუდენტური წარმომადგენლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. რაც შეეხება სტუდენტური ცხოვრებისთვის გამოყოფილ ხარჯებს, რექტორის ინფორმაციით, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სტუდენტური პროექტის დაფინანსების თაობაზე. კომისიის შემადგენლობაში სხვადასხვა დამკვირვებლები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები შევლენ. ასევე, იქმნება ახალი, ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც მედიატორის ფუნქცია ექნება. უკვე ჩამოყალიბდა „ნდობის ჯგუფი“, რომელიც სტუდენტებთან ერთად იმუშავებს. მოახლოვებულ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით კი რექტორმა იმედი გამოთქვა, რომ კენჭისყრის პროცესი გამჭვირვალედ ჩატარდება და მას არასამთავრობო სექტორიც დააკვირდება. „არავითარი პრივილეგიები უნდა ჯგუფები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღარ იქნება“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.



მიხეილ ჩხენკელის ბიოგრაფიული სწოება

მიხეილ ჩხენკელმა ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, სადაც იგი იყო აკადემიკოს მუსხელიშვილის სახელობის სტიპენდიანტი. მიხეილ ჩხენკელმა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამთავრა პენსილვანიის უნივერსიტეტის დოქტორანტურა, სადაც მას მიენიჭა მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მიხეილ ჩხენკელი 20 წლის განმავლობაში ასწავლიდა ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში. მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, მათ შორის საპროფესორო ოსკარი საუკეთესო სწავლებისათვის, პენსილვანიის უნივერსიტეტის 9 ჯილდო საუკეთესო სწავლებისათვის, Golden Sachs-ის ფონდის პრემია, სამეცნიერო-კვლევითი გრანტები და სტიპენდიები. იგი არის მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი, ამერიკაში გამოცემული წიგნების რეცენზენტი და სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოების წევრი. ამერიკის უნივერსიტეტებში მოღვაწეობისას მიხეილ ჩხენკელი იყო მათემატიკის დეპარტამენტის კომპიუტინგის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორთა სენატის წევრი, მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერების საკონკურსო კომიტეტების წევრი, ამერიკის მათემატიკური საზოგადოების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ფიურის წევრი, სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციების და მათემატიკური ოლომპიადების ორგანიზატორი, Cengage Learning-ის მრჩეველი და გოლდვოტერის პრემიის კომიტეტის წევრი.

მიხეილ ჩხენკელს აქვს მჭიდრო პროფესიული კავშირები ამერიკის მრავალი წამყვანი უნივერსიტეტის პროფესორებთან, მათ შორის ჰარვარდის, პრინსტონის, პენსილვანიის, იელის, კოლუმბიის, ბრაუნის, კორნელის, ჩიკაგოს, ბერკლის, ნიუ იორკის, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტებთან და მასაჩუსეტის ტექნოლოგიის ინსტიტუტთან. მიხეილ ჩხენკელი არის ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაციის წევრი.

ჰობი: ჭადრაკი, მხატვრული ლიტერატურა, კინო, მუსიკა, სამთო-სათხილამურო სპორტი.

25 ნოემბერს ტსუ-ის აკადემიური საბჭოსა და სენატის ახალ წევრთა არჩევნები გაიმართება

ნათო ოზოლაძე

ტბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში ოფიციალურად შევიდა მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. შესაბამისად, არჩევნები ტარდება ტსუ-ის მართვის ორგანოებში ორივე სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან წარმომადგენლების შეყვანის მიზნით. გარდა ამისა, კენჭისყრის შედეგად უნდა აირჩიონ სენატის ორი ახალი წევრიც ვადამდე უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრების ნაცვლად (ერთი სტუდენტი და ერთი აკადემიური პერსონალი).

„არჩევნების შედეგად ტსუ-ის ამ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებსაც თითო-თითო წარმომადგენელი ეყოლება სენატსა და აკადემიურ საბჭოში. სენატის წევრად, ასევე, უნდა ავირჩიოთ ერთი სტუდენტი მედიცინის ფაკულტეტიდან და ერთი აკადემიური პერსონალი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან. აკადემიური საბჭოს არჩევნებისთვის კანდიდატების რეგისტრაცია 14 ნოემბრიდან 18 ნოემბრის ჩათვლით იწარმოებს. სენატის არჩევნებისთვის კი რეგისტრაცია 15 ნოემბრიდან დაიწყო და 7 კალენდარული დღე გაგრძელდება. რეგისტრაციისთვის საჭირო საბუთების ჩამონათვალი განთავსებულია ტსუ-ის ვებ-გვერდზე“, — განაცხადა აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნების მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გვანცა ხასიაძემ.

აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების არჩევნების მიზნით შექმნილ საარჩევნო კომისიაში შედიან ლიანა აბესალაშვილი — ტსუ-ის მაღალი ენერჯიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; გიორგი ამირანაშვილი — იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი; ცისანა გავაშელი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორი; მანანა კაკაბაძე — მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორი; გიორგი მახაროზიშვილი — იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორი და ჯემალ როგავა — ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.



სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატობის კანდიდატების რეგისტრაცია 14-დან 18 ნოემბრის ჩათვლით იწარმოებს

პირველი გვერდიდან

ტსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისია დაკომპლექტებულია. პირველი სხდომა 9 ნოემბერს გაიმართა, სადაც თავმჯდომარე იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტი დემეტრე ეგნატაშვილი აირჩიეს. თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციებს ტსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გვანცა ხასია ასრულებს. კომისიის მდივანი კი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტი-პროფესორი ვალერიან არგუტაშვილი გახლავთ. ცენტრალური საარჩევნო კომისია სულ 7 წევრისგან შედგება.

კანდიდატების რეგისტრაცია 14 ნოემბერს დაიწყო და 18 ნოემბერს დასრულდება. წარდგენილ დოკუმენტაციაში, ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში, კანდიდატებს ამოსასწორებლად დამატებით სამდღიანი ვადა ექნებათ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ამ დროისთვის სტუდენტთა აქტივობა საკმაოდ მაღალია.

„დამოუკიდებელმა კანდიდატებმა დასარეგისტრირებლად მათი ფაკულტეტის სტუდენტების 2%-ის ხელმოწერები უნდა წარმოადგინონ, ორგანიზაციებმა კი — 30%-ისა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სულ 7 ფაკულტეტი და თითოეულზე ორი საარჩევნო უბანი გაიხსნება, გარდა მედიცინის ფაკულტეტისა, სადაც ერთი უბანი

იფუნქციონირებს. ერთი საარჩევნო უბანი გაიხსნება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზის საერთაშორისო სკოლაშიც, რადგან საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულია. საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ევალება, თუმცა ფაკულტეტებიც დაგეგმარებანი შესაბამისი გამოცდილების მქონე პირთა შერჩევამ“, — გვითხრა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე გვანცა ხასიაძემ.

დადგენილია ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობა, ხმის მიცემის უფლება 2015 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს აქვს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი ორგანიზაცია ევალუირებს დააკვირდებიან ტსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ტსუ-ის პირველი კორპუსის 211-ე აუდიტორიაში მუშაობს.

მოახლოვებულ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით რექტორმა გიორგი შარვაშიძემ იმედი გამოთქვა, რომ კენჭისყრის პროცესი გამჭვირვალედ ჩატარდება და მას არასამთავრობო სექტორიც დააკვირდება. მისი თქმით, სამომავლოდ სტუდენტების გადასაწყვეტია, თუ როგორი ფორმით იარსებებს სტუდენტური წარმომადგენლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ნათო ოზოლაძე

რისი გაკეთება იგეგმება უნივერსიტეტში

კითხვებს რეპტორი ბიორბი შარვაშიძე პასუხობს

— რამდენად ცნობილია, აპირებთ კურსდამთავრებულთა ფონდის შექმნას. რას მოემსახურება ეს ფონდი?

— ვვარაუდობთ, რომ მომავალ სემესტრში შეიქმნება კურსდამთავრებულთა ასოციაცია, უნივერსიტეტის მეგობართა კლუბი და უნივერსიტეტის განვითარების ფონდი, რომლებიც აქტიურად დაინყებენ ფუნქციონირებას 2017-2018 სასწავლო წლისთვის.

— რა გეგმები გაქვთ ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებასთან დაკავშირებით? თქვენი ინფორმაციით, რამდენად სათანადოდ ასრულებს ენების ცენტრი თავის მოვალეობას? რა არის გასაუმჯობესებელი?

— ზოგადად, ენების სწავლება აუცილებელია და ამაზე არაერთხელ გვექონდა საუბარი.

საქმე ისაა, რომ სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა ინფორმაცია მოდის: არსებობს სტუდენტების ნაწილი, რომლებიც უკმაყოფილონი არიან უცხო ენების სწავლების იმ დონით, რაც უნივერსიტეტშია და არსებობს სტუდენტთა ის ჯგუფიც, რომელიც კმაყოფილია. სწავლების ხარისხი, იდეაში, ცალსახად გასაუმჯობესებელია და ამას არ სჭირდება დიდი სჯა-ბაასი, თუმცა, როგორ და რა საშუალებებით, ამაზე, უპირადად იქნება, რომ ენების ცენტრი ჩამოყალიბდეს. მას, ალბათ, ექნება თავისი პოზიცია, რადგან, როგორც ვიცი, დიდი ხნის განმავლობაში ამუშავებდნენ კონცეფციას — თუ როგორ უნდა გააქტიურდეს სწავლება და როგორ მივაღწიოთ უკეთეს შედეგს.

— რამდენად ცნობილია, გერმანიის უნივერსიტეტმა თსუ-ს აკადემიური ბაზის გამართლობისთვის სპეციალური პროგრამა აჩუქა, რომელიც არ ამუშავებულა. ხომ არ არის დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებების სასწავლო პროცესის მართვის ბაზის მუშაობის გასაუმჯობესებლად?

— ეს პროგრამა ნამდვილად არსებობდა და მას ერქვა NOA, რომელიც მიუხედავად იყო (უკვე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს პროგრამა გვაჩუქეს). საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხა მოხმარდა ამ პროგრამის ადაპტირებას, რათა ეს პროგრამა ქართულ რეალობას მორგებოდა. 2011 წელს ეს ბაზა გასაშვებად მზად იყო, თუმცა არ ამუშავებულა, რაც ძალიან ცუდია.

ამ ეტაპზე ორ თემას გამოვყოფ: ერთია ის, რომ თვითონ ბიუროკრატიული საქმის წარმოება, რომელიც მიმდინარეობს ადმინისტრაციაში, არ არის დაფუძნებული არც ერთ კომპიუტერულ პროგრამაზე. ჩვენ ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ ფინანსთა სამინისტროსთან. მან კარგი საჩუქარი გაგვიკეთა — უფასოდ გვაძლევს სისტემას, რომელიც მონაცემებს დოკუმენტურ ფორმას ადმინისტრაციაში, რაც თავისთავად კარგი საქმეა. პარალელურად, ჩვენ საკმაოდ დიდი ხანი დაგვჭირდა, რომ გვეჩვენა, სად იყო მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ ნაჩუქარი პროგრამა. იგი ახლა ნაპოვნია და გადავეცით ჩვენს პარტნიორებს ფინანსთა სამინისტროში, რომლებიც შეაფასებენ დღევანდელ მდგომარეობას და იმას, თუ რამდენად შეიძლება ამ ორმა პროგრამამ პარალელურად იმუშაოს. თუ ეს შედეგება, ანუ ადმინისტრაციული საქმის წარმოება თუ მიეზმება სტუდენტური საქმის წარმოებას და ბაზებს, კარგ შედეგს მივიღებთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ, სამწუხაროდ, 2011 წელს არ მოხდა ამ პროგრამის უნივერსიტეტის სივრცეში ამუშავება. ეს პროდუქტი ახლა Microsoft-მა იყიდა, მაგრამ, როგორც ჩვენმა პარტნიორებმა გვაცნობეს, ვინაიდან ის უკვე ნაჩუქარია, თანხის გადახდა აღარ მოგვიწევს. ახლა ვადავებ, თუ რამდენად თავსებადია ეს ორი სისტემა და რამდენად შეიძლება მისი განახლება.

აუცილებელია, რომ სასწავლო პროცესის მართვის ბაზები გაიმართოს და ადგილი სამართავი იყოს არა მხოლოდ მომხმარებლისთვის, არამედ მათთვისაც, ვინც ამ ბაზებზე მუშაობს, ვთქვათ, იგივე, ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის. ამით ბიუროკრატია შემცირდება, გაიზარდება სისწრაფე, რაც ძალიან საგრძნობი იქნება მომხმარებლისთვის.

— თქვენ განაცხადებთ, რომ უნდა შეიქმნას ომბუდსმენის ინსტიტუტი სტუდენტებთან ურთიერთობისთვის. როდელანდ აპირებთ ამ ინსტიტუტის ამუშავებას და არის თუ არა უკვე განსაზღვრული, როგორ დაკომპლექტდება და რა ფუნქციები ექნება მას?

— აუცილებელია, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელშიც შევლენ პროფესორები. ეს უნდა იყოს ნდობის ჯგუფი, რომელსაც ჩვენ ვთხოვთ, რომ ჩამოაყალიბონ ხედვა, თუ რა უნდა იყოს ფუნქციონალი და შინაარსი იმ საქმიანობისა, რაც სტუდენტურმა ომბუდსმენმა უნდა გააკეთოს. მათ უნდა შეიმუშაონ სამუშაოების აღ-



სტუდენტურ ომბუდსმენს ექნება მედიატორის როლი ადმინისტრაციასა და სტუდენტებს, სტუდენტურ ჯგუფებს, ან პროფესორსა და სტუდენტს შორის. მისი გადასახვეტი იქნება ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეიძლება გადაიჭრას მარტივად და სწრაფად, რათა გამოვლენილი პრობლემა არ გადაიზარდოს კონფლიქტში.

წერილობები; უნდა მოიფიქრონ — ვინ უნდა იყოს ეს ადამიანი — ფსიქოლოგი, კონფლიქტოლოგი თუ იურისტი; როგორი ბეგრაუნდი, განათლება, გამოცდილება და პიროვნული თვისებები უნდა ჰქონდეს მას. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ იმ კომისიაში, რომელიც ღია კონკურსის წესით შეარჩევს სტუდენტურ ომბუდსმენს, ყველა დაინტერესებული მხარე იქნება წარმოდგენილი. მას ექნება მედიატორის როლი ადმინისტრაციასა და სტუდენტებს, სტუდენტურ ჯგუფებს, ან პროფესორსა და სტუდენტს შორის. მისი გადასახვეტი იქნება ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეიძლება გადაიჭრას მარტივად და სწრაფად, რათა გამოვლენილი პრობლემა არ გადაიზარდოს კონფლიქტში. ეს იქნება საუკეთესო ინსტიტუტი, სადაც მოხდება პოზიციების შეფერვა/დაახლოება. საერთოდ, უნდა აღდგეს დიალოგის ფორმით კომუნიკაციის კულტურა და ამ დიალოგის ფასილიტატორი იქნება ომბუდსმენი, რომელსაც ესმის — რა არის აკადემიური სივრცე, მართავს ამ სივრცეს და, კანონიდან გამომდინარე, საზღვრავს, თუ როგორ შეიძლება ურთიერთობების დალაგება.

— რამდენად ცნობილია შეიქმნება ცალკე კომისიაც, რომელიც სტუდენტურ პროექტებს განიხილავს...

— ვინაიდან არსებობს პრეტენზიები, რომ წარსულში სტუდენტურ პროექტებზე

თანხები არასწორად იქნა გამოყენებული, ყველანი შევთანხმდით, რომ ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. აუცილებელია, არსებობდეს ტრანსფარანტული, გამჭვირვალე მექანიზმი იმისა, თუ როგორ ნაწილდება ის თანხები, რომლებიც მიემართება სტუდენტური ცხოვრების გასაუმჯობესებლად. სტუდენტური სამეცნიერო პროექტების ან, ვთქვათ, ალპინადის, კონცერტის ან რაიმე სხვა სახის ღონისძიებებისა თუ აქტივობების დაფინანსებისთვის აუცილებელია არსებობდეს კომისია, რომლის მუშაობის წესიც გასაგები იქნება ყველასთვის. კერძოდ, პროექტის

ავტორებმა უნდა იცოდნენ, როგორ და რა პრინციპებზე დაყრდნობით იღებს კომისია გადაწყვეტილებას; რა არის მოთხოვნა; როგორი პროექტი უნდა შემოვიდეს; როგორ უნდა იყოს ის შესრულებული და ა.შ. ეს არის ჩვეულებრივი რუტინული სამუშაო, რომელიც აუცილებლად იყო გასაკეთებელი და, სამწუხაროდ, არ კეთდებოდა. რადგან დაისვა ამდენი შეკითხვა, უკეთესია, ამ კომისიაში შედიოდნენ წევრები, რომლებიც რომელიმე სტუდენტურ მხარესთან დაკავშირებულნი არ არიან. შეიძლება ეს იყოს არასამთავრობო ორგანიზაციის, ანაც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვინც მონაწილეობას მიიღებს ამ საგრანტო კომისიის მუშაობაში, რაც მიღებულია და კარგი პრაქტიკაა. თუ რაღაც კითხვითი ნიშნები გაჩნდება, იქნება იმის საშუალება, რომ მიმართონ კომისიას, რომელიც ადეკვატურ, გასაგებ პასუხებს გასცემს. ანუ, ეს არის ის საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს მუდმივად ცხარე დებატების საგანი. ვიმეორებ, რადგან დაისვა ასეთი კითხვები, მოდით, გავაკეთოთ ისე, რომ აღარ გაჩნდეს შეკითხვები — თვითონ პროცედურა იყოს გასაგები, გამჭვირვალე და სანდო.

ესაუბრა
ნიკო კაკულია

თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობს

პირველი გვერდიდან

ოპტიმიზაციის დაწყებას, მენეჯმენტის დახვეწას, მართვის პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობას, ელექტრონული მართვის სისტემის დანერგვას, რაც ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებისა და საქმის წარმოების გამარტივების აუცილებელი წინაპირობაა. თსუ-ის საქმიანობის ხარისხის შეფასებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჯგუფის წევრებმა ინიციატივა გამოთქვეს, რომ დაიხვეწოს და დაინერგოს ადმინისტრაციის მუშაობის შეფასების ახალი მეთოდი: „აუცილებელია, რომ ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სისტემის საოდეინობრივთან ერთად თვისებრივ კომპონენტებსაც ითვალისწინებდეს“, — განმარტა თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თამარ ვეფხვაძემ.

„ცენტრალური და საფაქულტეტო ადმინისტრაციების ფუნქციები უნდა გაიმიჯნოს, აუცილებელია ადმინისტრაციის ოპტიმიზაცია, მაგრამ არ უნდა მივიღოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილება, რადგან ზოგიერთ ერთეულში შესაძლოა კადრების ნაკლებობა იყოს, ნაწილში კი — პირიქით. ადმინისტრაცია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ოპტიმალური გარემოს შექმნას უნდა ემსახურებოდეს. უნივერსიტეტისთვის სასარგებლო იქნე-

ბა, თუ აკადემიური პერსონალიც მიიღებს მართვის პროცესში მონაწილეობას“, — განაცხადა „უნივერსიტეტის მართვის ჯგუფის“ მოდერატორმა, პროფესორმა ლევან გორდენიანმა.

„მივიჩნევთ, რომ მნიშვნელოვანია სემესტრის ბოლოს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასება. მათ შორის, ვგულისხმობ საფაქულტეტო ადმინისტრაციის პერსონალისა და ფაქულტეტების დეკანებსაც. აუცილებელია ელექტრონული მართვის სისტემის ამოქმედება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“, — აღნიშნა სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ჯგუფის წარმომადგენელმა ალექსანდრე თევზაძემ.

თსუ-ში ელექტრონული მართვის სისტემა რომ აუცილებლად დაინერგება და განსაკუთრებულ სიროულეს არ წარმოადგენს, რექტორის მოადგილემ მიხეილ ჩხენკელმა დაადასტურა. რაც შეეხება უნივერსიტეტის დაფინანსების საკითხს, „უნივერსიტეტის მართვის ჯგუფის“ მოსაზრებით, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაა აუცილებელი. ამავე დროს, რექტორატი ფინანსების მოძიების ალტერნატიულ ფორმაზეც მუშაობს, იგულისხმება კურსდამთავრებულთა ფონდის შექმნა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური რესურსის გონივრულად გამოყენება.

„საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს აქვს პოტენციალი, რომ ინტელექტუალური საკუთრების შემდგომი პატენტიზაციის და კომერციალიზაციის შედეგად კოლოსალური შემოსავალი შემოიტანოს. თუმცა, ჩემი გამოცდილებიდან ვიცი, რომ როდესაც კომერციალიზაციის საკითხს ეხები და თანამშრომლობ უცხოეთთან,

ამ დროისთვის აკადემიური კონკურსების ახალი კრიტერიუმები უკვე მუშავდება, სადაც ფორმოების სპეციფიკის ფაქტორიც იქნება გათვალისწინებული

ადვილად მოწყვლადი ხდები, თუ უნივერსიტეტი იურიდიული მხარდაჭერით გვერდით არ გიდვას“, — აღნიშნა თსუ-ის ბიოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა სოფო ბურჯანაძემ. „მთავარია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ინტელექტუალური პროდუქტი და აღნიშნუ-



თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა მიმდინარეობს

მესამე გვერდიდან

თსუ-ის სტრატეგიული განვითარების გეგმაში სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განვითარება სასწავლო პროცესის განვითარებით არ განიხილება. ამისათვის სამუშაო ჯგუფის წევრები აუცილებლად მიიჩნევენ რიგი ღონისძიებების განხორციელებას — აკადემიური კონკურსების ჩასატარებლად ახალი კრიტერიუმების შემუშავებას, სილაბუსების საავტორო უფლებების დაცვის სისტემის დანერგვას და, ასევე, სილაბუსების უმაღლესი განათლების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, ყველა სამეცნიერო დარგში სამეცნიერო ჟურნალების შექმნას, რაც შემთხვევებში ფაკულტეტების დარგობრივ ოპტიმიზაციას, კონტროლს პლაგიატზე, მეცნიერებაში ახალგაზრდების მოზიდვას და მეცნიერთანამშრომლებისთვის დოქტორანტების აყვანის უფლებების მინიჭებას.

„აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსები მუდმივად მიმდინარეობს და 2017 წელს ეს აქტიურ ფაზაში შედის. გეგმიურად ახალი საკონკურსო კრიტერიუმები, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ სრულ ქაოსს. ჩვენს ფაკულტეტზე წლების განმავლობაში იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალებით ხდებოდა მანიპულირება. გეოგრაფიის მიმართულებით ამ მხრივ ვითარება რთულია, რადგან ასეთ ჟურნალებში

რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სასწავლო პროცესთან დაახლოებას, რაც უნივერსიტეტში მეცნიერების განვითარების ერთერთ მნიშვნელოვან ნიშანდობად მოიაზრება, თსუ-ის რექტორატი ახალი ინიციატივით გამოდის. მომავალი სემესტრიდან იგეგმება ყველა ფაკულტეტზე ყველა მიმართულებით ყოველკვირეული სამეცნიერო-კვლევითი სემინარების ჩატარება, რომელშიც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და, ასევე, შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას. სემინარები სამივე უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებისთვის ღია იქნება. ინიციატივის მიზანი ახალი გარემოს შექმნაა, სადაც სტუდენტს, პროფესორსა და მეცნიერთანამშრომლებს შორის თანამშრომლობა გაღრმავდება.

სამუშაო ჯგუფებმა წარმოადგინეს სტუდენტური ცხოვრებისა და სტუდენტთა მომსახურების სფეროში არსებული პრობლემებიც. შედეგების მიხედვით მოსაგებებელი საკითხებია დასახელებული სტუდენტებისა და ადმინისტრაციის შორის კომუნიკაცია, სათანადო სოციალური გარემოს შექმნა, უცხო ენების სწავლება, ელექტრონული სწავლების დანერგვა, სახელმძღვანელოების პრობლემის მოგვარება, სტუდენტთა სრულფასოვანი მომსახურება-კონსულტაცია, სტუდენტ-

რომ ჩვენმა პროფესორმა შექმნას თავისი სახელმძღვანელო. ასევე, ვფიქრობ, რომ უნდა შექმნას პროფესორის გვერდი, სადაც განთავსდება პროფესორის ნამუშაოები, სილაბუსები, სალექციო კურსები და სახელმძღვანელოები. ასეთი მიდგომა სასწავლო პროცესს გააცოცხლებს“, — აღნიშნა ლექსიკოგრაფიული ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა თინათინ მარგალიტაძემ.

„თუ ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი სასწავლებელი, აუცილებლად უნდა განვითარდეს ელექტრონული სწავლების მხარე. აღვნიშნავ, რომ ელექტრონული სწავლების მოდელი დასანერგია, რადგან რიგ ფაკულტეტებზე საერთოდ არ ფუნქციონირებს. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამები განახლდეს და დასაქმების ბაზართან იყოს მისადაგებული“, — აღნიშნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა გიორგი გრიგოლაშვილმა.

სტუდენტური ცხოვრებისა და სტუდენტთა მომსახურების ჯგუფის წარმომადგენელმა, თსუ-ის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის თანამშრომელმა ელზა კუპრაშვილმა ისაუბრა ცენტრის განვითარების აუცილებლობაზე.

შეხვედრაზე შეჯერდნენ მოსაზრებებზე, რომ პრობლემა არა მხოლოდ დასაქმების ადგილების მოძიება, არამედ სტუდენტთა კვალიფიკაცია, რაც, ხშირ შემთხვევაში, დამსაქმებლების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

„დასაქმების საკითხთან დაკავშირებით დაგეგმილი მაქვს ყველა ფაკულტეტის დეკანთან შეხვედრები, რათა აკადემიური პროგრამების გადახალისება დაიწყო. ჩვენი სურვილია, ყველა ფაკულტეტზე მოხდეს პოტენციური დამსაქმებლების იდენტიფიკაცია და მათი ჩართვა აკადემიური პროგრამების შემუშავებაში. მნიშვნელოვანია თეორიული ცოდნის მიღება, მაგრამ დღეს დამსაქმებლები ითხოვენ კონკრეტული პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კადრებს. აქედან გამომდინარე, გვაქვს სურვილი, რომ მათ პროგრამების შემუშავებაში, სილაბუსების დონეზე, აქტიური მონაწილეობა მიიღონ. მომავალ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაციის გათვალისწინებით სასწავლო პროგრამების აკრედიტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი სწორედ დასაქმების საკითხია“, — განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა.

შეხვედრაზე სტუდენტების მიერ წამოყენებული პრობლემების ნაწილის გადაჭრა თსუ-ის რექტორატს უკვე დაწყებული აქვს. მაგალითად, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა რომა კალანდაძემ გამოთქვა ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ინიციატივა, რომელიც სტუდენტების უფლებებს დაიცავს: „ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ ომბუდსმენის არჩევა თუ დანიშნვის პროცესი იყოს გამჭვირვალე და ფორმის შემუშავებაში სტუდენტებმაც მიიღონ მონაწილეობა“. ომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედება, რექტორის ინიციატივით, უკვე დაგეგმილია და ამ პროცესში სტუდენტებიც მიიღებენ მონაწილეობას. ასევე, გადამწყვეტ ელექტრონული სწავლების სისტემის დანერგვაც, რაც უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების თსუ-ის სასწავლო პროცესში ჩართვის ერთერთ საშუალებადაც მოიაზრება. მიხეილ ჩხენკელმა განმარტა, რომ „ელექტრონული სწავლების მეშვეობით თსუ-ის პროფესორებიც ნაიკითხავენ ლექციებს უცხოელი სტუდენტებისთვის, ანუ ინტელექტუალური რესურსის გაცვლის პროცესიც დაიწყება“.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამუშაო ჯგუფის წევრებს წარმოადგინდა აქვთ დოკუმენტი, სადაც განვიხილავთ უნივერსიტეტის საკომუნიკაციო სტრატეგია. გეგმა ითვალისწინებს, „თსუ-ის საქმიანობის თაობაზე საზოგადოების უკეთ ინფორმირებას, გამჭვირვალობის ზრდას, საზოგადოებასთან ფართო დიალოგის წარმოებას, მიზნობრივ აუდიტორიასთან საკომუნიკაციო სისტემის გაუმჯობესებასა და, საერთო ჯამში, თსუ-ის იმიჯისა და ცნობადობის ამაღლებას როგორც რეგიონის, ისე საერთაშორისო მასშტაბით“.



რომან კალანდაძე

სტუდენტმა რომა კალანდაძემ გამოთქვა ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნის ინიციატივა, რომელიც სტუდენტების უფლებებს დაიცავს: „ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ ომბუდსმენის არჩევა თუ დანიშნვის პროცესი იყოს გამჭვირვალე და ფორმის შემუშავებაში სტუდენტებმაც მიიღონ მონაწილეობა.“

ამ დროისთვის თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმაზე (2017-2021 წწ.) მუშაობა გრძელდება. უახლოეს მომავალში დოკუმენტის განახლებული სამუშაო ვარიანტი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და სპეციალურ ფეისბუქ-გვერდზე აიტვირთება. თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველი ვერსიის განხილვა 11 ნოემბერს გაიმართა.

ნატო მოლოჯაი

ცნობისათვის

ინტერნეტსივრცეში თსუ-ის დაცული დოკუმენტების ელექტრონული ვებ-გვერდი (<http://ebooks.tsu.edu/>) შეიქმნა. რესურსი მოიცავს ნაბეჭდი და აუდიოჩანაწერებს, პერიოდული გამოცემების, დისერტაციებისა და ფოტოდოკუმენტების ელექტრონულ ვერსიებს. ფონდი ყოველდღიურად ივსება დასკანერებული პუბლიკაციებით, მათი გაცნობა შესაძლებელია თსუ-ის ინტერნეტსაიტის გამოყენებით. უნივერსიტეტის მიღმა მომხმარებელი „ხედავს“ მხოლოდ ციფრული ბიბლიოთეკის კატალოგს, მაგრამ პუბლიკაციების ელექტრონულ ვერსიებს ვერ გახსნის. ვფიქრობთ, მათი ნაკითხვა უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდება უნივერსიტეტის სივრცის მიღმა, საავტორო უფლებების კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით.

ციფრული კატალოგი იხსნება ყველა ტიპის ვებ-ბრაუზერში და თავსებადია თანამედროვე სმარტფონებთან და პლანშეტურ კომპიუტერებთან. მაღლიერებით მივიღებთ თქვენს რჩევასა და შენიშვნებს, რომლებსაც შესაძლებლობის ფარგლებში გავითვალისწინებთ.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია

მომავალი სამესტრიდან იგეგმება ყველა ფაკულტეტზე ყველა მიმართულებით ყოველკვირეული სამეცნიერო-კვლევითი სემინარების ჩატარება, რომელშიც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და, ასევე, შესაბამისი დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას.



სტატის დაბეჭდვა დიდ ხარჯებს უკავშირდება. ნონსენსია, როდესაც თსუ-ში გეოგრაფია გაყოფილია და მისი ერთი მიმართულება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს ეკუთვნის, მეორე კი ზუსტსა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს. აუცილებელია ფაკულტეტების დარგობრივი ოპტიმიზაცია. ხელფასების რაოდენობა ყოველწლიურად იცვლება და საჭიროა ამის დასტაბილურება“, — განაცხადა თსუ-ის გეოგრაფიის მიმართულების პროფესორმა ნოდარ ელიზბარაშვილმა.

თსუ-ის ვიცე-რექტორის ინფორმაციით, ამ დროისთვის აკადემიური კონკურსების ახალი კრიტერიუმები უკვე შემუშავდება, სადაც დარგობრივი სპეციფიკის ფაქტორიც იქნება გათვალისწინებული: „ყველა დარგს აქვს თავისი სპეციფიკა და ძალიან მალე აკადემიურ საბჭოში ჩვენ შევხვალთ კონკრეტული წინადადებებით. ეს ეხება არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ სასწავლო კომპონენტებსაც. მაგალითად, აკადემიურ კონკურსში მონაწილე პიროვნება, რომელსაც თსუ-ში ლექციები წაკითხული არ აქვს, აუცილებლად ჩაატარებს საჩვენებელ ლექციას, რომელსაც კომისიის წევრებთან ერთად სტუდენტებიც დაესწრებიან. კომისია თავისი გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებლად გაითვალისწინებს სტუდენტთა მოსაზრებებსაც. ჩვენ დავაყენებთ წინადადებებს აკადემიურ საბჭოზე და შემდეგ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას“, — განმარტა მიხეილ ჩხენკელმა.

თა დასაქმება-პრაქტიკა, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე ზრუნვა.

„საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარება არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გამოწვევა ჩვენთვის. პრობლემა ბევრი გაქვს. ავტორიზაციისთვის შესაძლოა აღმოვჩნდეთ სათანადო ფართის იჯარით ადების აუცილებლობის წინაშე. კვების ობიექტები გასახსნელია, უნდა ვიზრუნოთ სპეციალური საჭიროების მქონე პირთა პირობების შექმნაზე, სამედიცინო პუნქტების გახსნაზე. ეს ის პრობლემებია, რომელიც ყველასთვის ნათელია და აუცილებელია, რომ გადაიჭრას“, — აღნიშნა თამარ ვეფხვაძემ.

„გასხვისებულია და ამ დრომდე ვერ დავიბრუნეთ სასწავლო-საველე ბაზები, რომელიც 2011 წელს გაყიდეს და ამ პროცესში უნივერსიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულიც იყო ჩართული. საშუალო სკოლებში ცვლილებები მიმდინარეობს და ახლა უკვე ბაკალავრიატის სტუდენტებსაც შეუძლიათ სკოლებში ასწავლონ. თუმცა, აკადემიურ სასწავლო პროცესთან ისინი სამუშაო საათებს ვერ უთავსებენ. თუ ამ საკითხს მოვანერგებთ, სტუდენტებს დასაქმების სერიოზული არეალი ექნებათ“, — განაცხადა პროფესორმა ნოდარ ელიზბარაშვილმა.

„სერიოზული პრობლემაა უცხო ენის სწავლება. ჩვენი მიზანია, რომ სტუდენტს შეეძლოს თავის დარგში ტექსტის ნაკითხვა — იქნება ეს სახელმძღვანელო თუ სტატია. თარგმანს ხშირ შემთხვევაში ჯობია,

ტსუ-ში ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი იქმნება



სიახლეებია ტსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე. იგეგმება ცვლილებები, რის შედეგადაც სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტებს ბევრად უფრო ხარისხიანი განათლების მიღება შეეძლებათ — ამოქმედდება სამაგისტრო პროგრამა იურიდიულ ფსიქოლოგიაში, იქმნება ახალი პროექტი, რომლის მიხედვით სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნება, დოქტორანტიებისთვის შეიქმნება კვლევის მეთოდების მოდული, დაიწყება კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის. აღნიშნული პროექტების განხორციელება ორმავედ მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მიმდინარე წელს ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღის მთავარ თემად, საკითხის სიმწვავეიდან გამომდინარე, პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება შეარჩია და ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დასახა.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაგეგმილი ახალი პროექტების შესახებ ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თამარ ბაგრაძეს ვესაუბრეთ.

— თსუ-ის რექტორთან შეხვედრისას თქვენ განაცხადეთ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრის შექმნის იდეის შესახებ. კონკრეტულად რა ფუნქციები ექნება ცენტრს?

— ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის დაარსების დღიდან ჩემთან ძალიან ხშირად მოდიოდნენ სტუდენტები სხვადასხვა პრობლემებით — ფსიქოლოგიური, პირადი, დასწავლის და კარიერის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებით... მივხვდი, რომ საჭიროა შევქმნათ ისეთი ადგილი, სადაც შესაბამისი პროფილის სპეციალისტები იმუშავებენ და სტუდენტებს სტუდენტური ცხოვრების ეფექტურად წარმოებაში დაეხმარებიან, მოუგვარებენ დამაბრკოლებელ პრობლემებს, რაც ხელს უშლის მათ კარგად ყოფნას, ფსიქოლოგიურ კომფორტს. სტუდენტების, ახალგაზრდობის ფსიქიკური ჯანმრთელობა აუცილებელი პირობაა, რომ ჯანმრთელი საზოგადოება გვყავდეს. ჩვენ ფსიქოლოგები ვართ, გვაქვს პრეტენზია, რომ სხვა ადამიანებს პრობლემების გადაწყვეტაში ვეხმარებით და ბუნებრივია ამ ფაკულტეტზე უნდა არსებობდეს საკონსულტაციო ცენტრი. დასაწყისში ცენტრი მხოლოდ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტის ფარგლებში იმუშავებს, პროექტის წარმატებისა და შესაბამისი რესურსის არსებობის შემთხვევაში საუნივერსიტეტო მომსახურებაზე გადასვლაზეც ვიფიქრებთ.

— ფსიქოლოგიური საკონსულტაციო ცენტრის ფარგლებში სტუდენტები პრაქტიკულ სამუშაო გამოცდილებასაც მიიღებენ?

— იდეა ასეთია — საკონსულტაციო ცენტრში სტუდენტი მოვა როგორც თავისი ფსიქოლოგიური პრობლემების, ასევე, დასწავლასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად. მაგალითად, რა სტრატეგიები გამოიყენოს, რომ კარგად და სწრაფად წაიკითხოს და დაისწავლოს მასალა, როგორ შეიმციროს შფოთვა გამოცდების პერიოდში, როგორ გადალახოს სიმორცხვე პრეზენტაციის გასაკეთებლად და ა.შ. გარდა ამისა, საკონსულტაციო ცენტრში სტუდენტი უნდა გაერკვეს — როგორ დაგეგმოს თავისი კარიერა, რომელ სამაგისტრო პროგრამაზე უმჯობესია, რომ ჩააბაროს. იდეა არის ეს. ჩვენი მთავარი სამიზნე ჯგუფი სტუდენტები არიან. თანაც, სტუდენტები საკონსულტაციო ცენტრში იქნებიან არა მხოლოდ როგორც მომხმარებლები, არამედ როგორც ამ სერვისის შემსწავლლები. მაგისტრები და დოქტორანტები გაინერტებიან პიროვნების კონსულტაციის საქმეში, ფსიქოლოგიური კონსულტაცია უზარმაზარი მიმართულებაა. ჩვენს ფაკულტეტზე არსებობს პიროვნების და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც უნდა შევინარჯოთ გარკვეული ბაზა, სადაც მომავალ კონსულტანტებს მოამზადებთ. ცხადია, პროფესორებსაც დასჭირდება გარკვეული მომზადება, რომ შემდეგ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ხელმძღვანელობა გაუწიონ.

— ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე იგეგმება ახალი სამაგისტრო პროგრამის განხორციელება იურიდიულ ფსიქოლოგიაში. კონკრეტულად რომელ დისციპლინებს მოიცავს ეს პროგრამა?



თამარ ბაგრაძე

— მოხარული ვარ, რომ ბატონმა ვახტანგ ნადარეშიძემ ააწყო ეს პროგრამა. ბატონი ვახტანგის მაღალი კვალიფიკაციისა და ამ სფეროს აქტუალურობის გამო მომლოდინე სტუდენტი უკვე ძალიან ბევრია. დასაქმების ბაზარზე ამ მიმართულების სპეციალისტების დეფიციტია. ძალიან სტრუქტურებში ბევრი ფსიქოლოგი საქმდება და მათ სწორი მომზადება სჭირდებათ. ეს პროგრამა სწორედ ქართული რეალობის გათვალისწინებით არის შექმნილი: მოიცავს კრიმინალური ფსიქოლოგიის, იურიდიული ფსიქოლოგიის, სასამართლო ექსპერტიზის ელემენტებს და ყველა იმ საკითხს, რომელთაც შემდეგ სტუდენტს შეიძლება მოუწიოს შეხება.

— რატომ არ არის ეს სამაგისტრო პროგრამა ამ დრომდე ამოქმედებული?

— ჩვენ ველოდებით პროგრამის შეფასების ახალ კრიტერიუმებს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრიდან, რათა მომავალში სამაგისტრო პროგრამას პრობლემები არ შეექმნას. ახლა ავტორიზაციას რომ გავივლით, ახალი აკრედიტაციისათვის პროგრამასაც წარვადგინებთ.

— თქვენ ასევე განაცხადეთ, რომ გსურთ კვლევის მეთოდების მოდულის კურსის შემუშავება დოქტორანტებისთვის...

— ეს გრანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიგო ფოლკსგაგენის ფონდში. ჩვენმა რამდენიმე პროფესორებმა წელს შოთა რუსთაველის ფონდში წარადგი-

ნა პროექტები ახალი სადოქტორო პროგრამების შესაქმნელად. ახალი და ძველი სადოქტორო პროგრამები აუცილებლად საჭიროებენ სრულყოფას დოქტორანტებისთვის მაღალი დონის კვლევითი ჩვენების ჩამოყალიბების მიმართულებით. კვლევის მეთოდების მოდულის კურსი კი სწორედ ამ ცოდნის მიღებას უზრუნველყოფს. მომავალში მეცნიერმა რომ მოახერხოს სტატიის წარდგენა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში, აუცილებლად სჭირდება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მაღალი დონე, სამეცნიერო სტატიის დაწერის სწავლა, მაღალი დონის ცოდნა სტატისტიკურ მეთოდებში, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა მეთოდოლოგიაში. სწორედ ამიტომ გვინდა, რომ ფოლკსგაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის ფარგლებში შეიქმნას კვლევის მეთოდების მოდული ჩვენი დოქტორანტებისთვის.

— ასევე გეგმავთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ამოქმედებას, თუმცა ხელისშემშლელ ფაქტორებზეც ისაუბრეთ...

— გვაქვს პოტენციალი, რომ მასწავლებლებისთვის — სკოლის პედაგოგებისთვის, საბავშვო ბაღის აღმზრდელებისთვის ტრენინგები ჩავატაროთ. დღე არ გავა, რომელიმე ფსიქოლოგმა არ დამიჩივოს და არ მკითხოს — გვაქვს თუ არა ჩვენ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ბევრჯერ მითქვამს, ჩვენ არ გვანაყობს ასეთი სასერტიფიკატო კურსების შექმნა, ვინაიდან ფაკულტეტს არაფერი რჩება. სანამ ჩვენ არ გვექნება შესაძლებლობა, რომ აღნიშნული კურსები ჩვენი სახელით გავმართოთ და არა უწყვეტი განათლების ცენტრის, მანამდე ჩვენს ინტერესში ეს არ შედის. ფაკულტეტი დაინტერესდება, თუ მასაც ექნება გარკვეული სარგებელი. ალბათ შესაძლებელია, რომ გაიყოს კომპეტენციები — რას გააკეთებს ფაკულტეტი და რას — უწყვეტი განათლების ცენტრი. ჩემი აზრით, უწყვეტი განათლების ცენტრი თსუ-ის პერსონალის განვითარებაზე უნდა ზრუნავდეს: დაეგმოს ტრენინგები, დაინტერესოს პროფესორები, რომლებიც, დამეთანხმებით, დროში მეთისმეტად შეზღუდვები არიან და, ამავე დროს, ესაჭიროებათ კვალიფიკაციის ასამაღლება.

ნათო მზომალაძე

ნაპოლეონ კვარაცხელიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცეს

70 წლის ღვაწლმოსილ ფილოსოფოსს ნაპოლეონ კვარაცხელიას თსუ-ის სამეცნიერო და სასწავლო პროცესისა და ფილოსოფიური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, განსაკუთრებული ღვაწლისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიაზე კოლეგებმა და სტუდენტებმა მეცნიერის დამსახურებაზე და მის მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე, მოღვაწეობაზე ისაუბრეს.

„ღირსებებით გამორჩეულ პიროვნებას დღესაც აკვირვებს ვარსკვლავებით მოჭედული ცა და ზნეობრივი კანონი თავის თავში — მან მართლაც ამ ფილოსოფიით იცხოვრა. პროფესორი ნაპოლეონ კვარაცხელია ღრმად განსწავლული კვლევარი, ორიგინალური მოაზროვნე, გამორჩეული პიროვნებაა, რომელსაც მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის როგორც ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში, ისე თეორიული ფილოსოფიის პრობლემების სიღრმიესულ კვლევაში. ნაპოლეონ კვარაცხელიას, თავისი „ტრაგიკული მდგომარეობიდან“ გამომდინარე, წლების განმავლობაში ფილოსოფიის მიმართულებით გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობა არ მიუღია. ამიტომაც რექტორატის გადაწყვეტილებით, 2006 წლიდან 2012 წლამდე თსუ-ში იგი ლექციების სხვადასხვა კურსს საპატიო პროფესორის სტატუსით კითხულობდა. წელს კი მას დამსახურებულად მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, რაც ყველა უნივერსიტეტისთვის უმაღლესი ჯილდოა, — განაცხადა თსუ-ის ფილოსოფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა დემურ ჯალაღონიამ. საზეიმო ღონისძიებაზე მეცნიერს საპატიო ჯილდოს მიღება თსუ-ის უ-

მანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა მიულოცა: „დღეს უნივერსიტეტი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს საუნივერსიტეტო ოჯახის გამორჩეულ პროფესორს, ბატონ ნაპოლეონ კვარაცხელიას, რომელმაც მრავალი წელი იღვანა უნივერსიტეტში და რომლის დიდი წვლილიც არის იმაში, რომ დღეს ქართული ფილოსოფიური სკოლა ტოლს არ უდებს ევროპული უნივერსიტეტების ფილოსოფიურ სკოლებს. მეცნიერისთვის 70 წელი არც ცოტაა და არც ბევრი... ეს არაჩვეულებრივი ასაკია. თქვენ შეგიძლიათ, ის დიდი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც გაქვთ, კვლავაც გაუზიაროთ სტუდენტებსა და ახალგაზრდა კოლეგებს. საუნივერსიტეტო სივრცე ხომ იმითაც არის გამორჩეული, რომ აქ თაობები მარმონიულად თანაარსებობენ. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, ჩვენი ფაკულტეტი გამორჩეულია. მისასაღებელია, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებამ ჯეროვნად დააფასა თქვენი ღვაწლი“, — განაცხადა ნანა გაფრინდაშვილმა. საზეიმო ღონისძიებაზე 70 წლის ფილოსოფოსმა, პროფესორმა ნაპოლეონ კვარაცხელიამ დამსწრე საზოგადოებას „გაუმხილა“, რომ მისთვის, როგორც



მეცნიერისთვის, ივანე ჯავახიშვილის მედალი ყველაზე მაღალი ჯილდოა და რომ უნივერსიტეტში მოღვაწე ადამიანისთვის ამაზე დიდი დაფასება არ არსებობს.

„დიდი სიყვარულით მინდა გავიხსენო ჩემი პედაგოგები, მათ შორის შალვა ნუცუბიძე, რომელიც „შუა საუკუნეების ფილოსოფიას“ მიკითხავდა. უნივერსიტეტში გატარებული წლები დაუვინყარია. ბედნიერი ვარ, რომ აქ მისი აღმავლობის პერიოდში ვსწავლობდი. 1968 წელს III კურსელი ვიყავი, როდესაც პომპეზურად გამიართა თსუ-ის 50 წლის იბედე, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და, იმდენი მაქვს, 100 წლის იუბილესაც ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში შევხვდები“, — განაცხადა ნაპოლეონ კვარაცხელიამ.

ნაპოლეონ კვარაცხელია 1974 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მისი სალექციო კურსების ჩამონათვალში შედის ისეთი ფილოსოფიური დისციპლინები, როგორცაა შემეცნების თეორია, ადამიანი და მსოფლმხედველობა, ფილოსოფიის შესავალი, სისტემური ფილოსოფია, კულტურის ფენომენოლოგია. მან წაიკითხა სალექციო კურსი „შემეცნების ძირითადი პარადიგმების შესახებ“ ჰავანის უნივერსიტეტში, ხოლო კურსი „მეცნიერების ფილოსოფიური დაფუძნება“ პრალის უნივერსიტეტში. 2003-2006 წლებში იგი ხელმძღვანელობდა თსუ-ის თეორიული ფილოსოფიის კათედრას, იყო ფილოსოფიაში ხარისხების მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. პარალელურად თანამშრომლობდა ს. ნერეთლის სახელობის ფილოსოფიის ინსტიტუტთან, 2009-2011 წლებში იყო ამ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალში სარედაქციო კოლეგიის წევრად და რედაქტორობდა მეცნიერთა მონოგრაფიებს. ამაჟამად ნაპოლეონ კვარაცხელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი და საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.



ცვლილებების აუცილებლობა უნივერსიტეტში



თსუ-ის ახალი რექტორი გიორგი შარვაშიძე ცვლილებების აუცილებლობას აანონსებს და საუნივერსიტეტო რეფორმისთვის კონკრეტულ სამომავლო გეგმას გვთავაზობს. ის, რომ ამ ცვლილებებისთვის საკმაოდ მომწინფებულია უნივერსიტეტში ვითარება, ჯერ კიდევ 2011 წელს ჩატარებულმა „ეისითის კვლევამ“ აჩვენა. ამ კვლევაში თსუ-ის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების შესახებ ღირებული ინფორმაცია და ანალიზი მოცემული. კვლევამ მოიცვა შემდეგი სამიზნე აუდიტორია: 1) თსუ-ის სტუდენტები; 2) თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები; 3) აბიტურიენტები და მათი მშობლები; 4) თსუ-ის კურსდამთავრებულები; 5) დამსაქმებლები; 6) საზოგადოებრივი „აზრის ლიდერები“. „ეისითი“-ს კვლევის სამიზნე სეგმენტის ხედვით, „უნივერსიტეტის სამომავლო არსებობისა და განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მიზანმიმართული, კარგად გაანერგილი გეგმის შესაბამისად დაუყოვნებლივ ცვლილებები/გარდაქმნის პროცესის დაწყება; დოკუმენტში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტი არ უნდა იყოს მხოლოდ წარსულით თავმოქმედებული, კვლევას და ფუნდამენტურ მეცნიერებებს ჩამოშორებული საშუალო დონის ტრენინგ-ცენტრი. მან უნდა მოახერხოს არსებული რესურსის მობილიზება და სწორი მართვის სისტემის შედეგად მდიდარი ტრადიციების მქონე, მაგრამ თანამედროვე უნივერსიტეტად ჩამოყალიბება“.


თსუ-ის იმიჯის პოზიტიურ აღქმას ბევრი რამ განაპირობებს: თსუ ასოცირებულია ეროვნული თვითმყოფადობისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეასთან და ამ გაგებით მისი მნიშვნელობა შეუცვლელია. თსუ ყოველთვის იყო, არის და იქნება ქართული კულტურის/ღირებულებების შენარჩუნების, განვითარების და გადაცემის კერა. თსუ-ის იმიჯი გადაჯაჭვულია მის როლთან საზოგადოების სულიერი ღირებულებების, ფასეულობების ფორმირების მხრივ და მოქალაქის აღზრდის თვალსაზრისით. თსუ, მიუხედავად სირთულეებისა, დღემდე მიიჩნევა მეცნიერების მთავარ კერად, მაგრამ, არსებობს მაგრამ...

უნივერსიტეტის უარყოფითი მახასიათებლების ჩამონათვალი ჩვენ განსახორციელებელი მიზნებისა და ამოცანების უკეთ ფორმირებაში დაგვეხმარება. სწორედ ამიტომ მივიჩნით საჭიროდ იმ სუსტ მხარეებზე საუბარი, რომელიც „ეისითის კვლევამ“ გამოკვეთა. რა აზიანებს დღეს უნივერსიტეტის იმიჯს? — 1. უნივერსიტეტის წიაღში პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღების ნაკლებობა, ანუ პრაქტიკული და პროფესიული ცოდნის დეფიციტი, რაც, ერთი მხრივ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირით, ხოლო, მეორეს მხრივ, სასწავლო პროგრამების შედგენით და თეორიული ხასიათით აიხსნება; 2. სტუდენტების ჭარბი რაოდენობა და აკადემიური პერ-

სონალის სიმცირე, რაც მოქმედებს სწავლების ხარისხზე; ასევე უნივერსიტეტის წინაშე დგას კვალიფიციური აკადემიური პერსონალის შენარჩუნების პრობლემა; 3. უნივერსიტეტის ნაკლები კონტაქტები შრომის ბაზრის აქტორებთან, რაც სტუდენტებს სწავლების პროცესშივე მისცემდა რეალურად პრაქტიკული კურსის გავლის შესაძლებლობას პარტნიორ ორგანიზაციებში და მათი მომზადების დონეს მნიშვნელოვნად გაზრდიდა; 4. სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებული პრობლემები. ესაა ქართულ

ენაზე ნათარგმნი სამეცნიერო/პროფესიული ლიტერატურის სიმწირე და ხშირ შემთხვევაში ნაკლებად ხარისხიანობა; 5. უცხო ენების საფუძვლიანად შესწავლაზე ნაკლები ორიენტირება, რაც უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის ასევე ხელისშემშლელი ფაქტორია სამუშაოს შოვნის მიმართულებით; 6. ნაკლებად ორიენტირება თანამედროვე სწავლების მეთოდზე, როგორცაა ელექტრონული სწავლება, აქცენტირება ვიზუალურ მასალაზე, ინტერაქტიული სალექციო პროცესი; 7.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ანუ ინფრასტრუქტურული პრობლემები; 8. მართვის ხარვეზები — ზედმეტი ბიუროკრატია. ეს დაგროვებულ პრობლემათა ის ძირითადი ჩამონათვალია, რაზეც ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ახლად არჩეულ ხელმძღვანელობას უკვე აქვს პასუხი და ეს ეს პასუხი გახლავთ რექტორის მიერ შემოთავაზებული უნივერსიტეტის განვითარების კონცეფცია და ის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელზეც მუშაობა უკვე ჯგუფებში მიმდინარეობს.



სტუდენტური გამოკითხვა

ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობენ სტუდენტებიც. მათი პრობლემათა ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანი და აქტუალურია. მწვავეა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთა მომსახურების საკითხიც. გთავაზობთ სტუდენტების კომენტარებს, სადაც ისინი იმ პრობლემების შესახებ საუბრობენ, რომლებიც სასწავლო პროცესის დროს ექმნებათ.

პასტანა ნოზაქი, ფსიქოლოგისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურული ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტი:

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პრობლემების გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტში ბევრი გასაკეთებელი. მე თვითონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვარ, მაქვს მხედველობის პრობლემა. ყველაზე მეტად რთულია უნივერსიტეტში გადაადგილების საკითხი, ყველა საჭირო ლიტერატურის ელექტრონული ვერსია არ არის გაკეთებული და, ზოგადად, სასწავლო რესურსებზე არ გვაქვს სრული ხელმისაწვდომობა (ვგულისხმობ უნივერსიტეტის ელ-ფოსტას და ა.შ.). ასევე, არ ვართ ინფორმირებული გაცვლითი პროგრამე-

ბის შესახებ, არ ვიცით — თუ რამდენად ხდება ამ პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება. გერმანიის რამდენიმე უნივერსიტეტის დოქტორანტებისგან მაქვს ინფორმაცია, რომ მათთან, ამ მხრივ, სისტემა გამართულია. ამ დროისთვის ვიცი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი და ცდილობენ ვითარების გამოსწორებას. იმედი, რომ ცვლილებები განხორციელდება. ეს თემები, რაზეც ვსაუბრობ, სიახლე არ გახლავთ, თუმცა მოუგვარებელი პრობლემებია და კვლავ აქტუალურია.

დავამატებ, რომ ჩვენთან დოქტორანტურაში სწავლა საკმაოდ დიდ ხარჯებს უკავშირდება, პირობები კი სათანადო არ არის. თუ დოქტორანტი გრანტი ვერ მოიპოვებს, თავისი ხარჯებით უნდა სწავლებას წარმოება. თანაც, როგორც ვთქვამ, ახლა სწავლის გადასახადიც იზრდება... უნივერსიტეტის მხრიდან მეტი მხარდაჭერა საჭირო. დამატებით პრობლემებს ქმნის ისიც, რომ პროფესორებს დოქტორანტების ხელმძღვანელობისთვის ანაზღაურება არ აქვთ და, შესაბამისად, სტიმულიც ნაკლებია“.

სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელება 2017 წლიდან დაიწყება. მიზანი გამოკ-

ვეთილია: 2018 წელს, უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს თსუ უნდა შეხვდეს როგორც სამაგალითო, სტაბილური, საერთაშორისო სტანდარტების მქონე სამეცნიერო და საგანმანათლებლო კერა.

რომან კალანდიაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტი:

„უკვე დიდი ხანია ყოველი ახალი სასწავლო წელი იწყება სტუდენტების პროტესტით და კონკრეტული მოთხოვნებით, რომლის შესრულებაც ასე თუ ისე შეცვლიდა არსებულ მძიმე მდგომარეობას. III კურსზე ვარ და სამი წლის განმავლობაში ვერ ვიგრძენი ვერც ერთი ცვლილება, რომელიც დამანახებდა, რომ უნივერსიტეტი ვითარდება და მიდის წინ; ვერ ვიგრძენი ვერც ერთი რეფორმა, რომელსაც უნდა ატარებდეს ადმინისტრაცია; უცვლელია გაბერლი შტატები და ბიუროკრატია, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს თსუ-ს; ისევ მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ისევ არასაკმარისი საგნები, წიგნები და ა.შ. უმთავრესი და ძირი ამ პრობლემებისა არის უნივერსიტეტის დაფინანსების საკითხი. დღესდღეობით არსებობს ვაუჩრული დაფინანსება, რომელიც იმის მიხედვით იზრდება ან

იკლებს, თუ რამდენი სტუდენტი სწავლობს უნივერსიტეტში.

ნარმოიდგინეთ, როგორ უნდა განვითარდეს და პროგრესი განიცადოს იმ სასწავლებელმა, რომელიც სტუდენტების ფულით იხდის ასობით თანამშრომლის ხელფასს, კომუნალურ გადასახადებს და ფარავს სხვა მიზნობრივ თუ არამიზნობრივ ხარჯებს.

სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე ნომერ პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარება და მოხდეს პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება — ეს არის ერთადერთი, შედარებით სწრაფი გზა უნივერსიტეტის განვითარების.

ველოდები, რომ რეფორმა განხორციელდება, მივიღებთ უფრო ჯანსაღ გარემოს და უნივერსიტეტის განვითარებაზე ორიენტირებულ პოლიტიკას“.

სოფიო ჭაბაშვილი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების მიმართულების IV კურსის სტუდენტი:

„სასწავლო პროცესის დროს მეტი პრაქტიკა გვჭირდება. ჩვენთან ლაბორატორიული სამუშაოები უმნიშვნელოვანესია და საჭიროა, რომ გაუმჯობეს-

დეს, რადგან არ გვაქვს საკმარისი რეაქტივები და არც შესაფერისი აპარატურა. ამ ყველაფრის ნაკლებობა განაპირობებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების სიმცირეს, რაც ძალიან სამწუხაროა. რეაქტივები, რომლებიც ლაბორატორიული სამუშაოების დროს გვჭირდება, ძვირად ღირებულია, დაფინანსება კი იმდენად მცირეა, რომ ყველა მოწყობილობისა თუ ნივთიერების, რეაქტივის შეძენას არ ყოფნის. თუმცა, მაღალ დონეზე თეორიული სწავლება, ცოდნის ნამდვილად ვიღებთ, მაგრამ ჩვენს დარგში პრაქტიკის გარეშე შეუძლებელია განვითარდეთ. მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებას ვგეგმავ, მაგრამ ვარჩევ სხვა უმაღლეს სასწავლებელს, სადაც პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობა უფრო მეტად მექნება. მაგისტრატურაში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას აუცილებელია როგორც აპარატურა, ასევე რეაქტივები. უნივერსიტეტში ცოდნის გადაცემის მთლიანობა დარღვეულია. არის საგნები, რომლის ფარგლებშიც ძალიან ცდილობს ფაკულტეტი, რომ პრაქტიკული ცოდნა მოგვცეს და გვაქვს კიდევ ამის შესაძლებლობა, მაგრამ ეს ყველა საგანს არ ეხება.

ნათო მობლაძე

სტუდენტური აზროვნებით

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუდენტური ჩანართი

№18



კომპოზიტორი დრამატურგიული აზროვნებით

თსუ-ში გია ყანჩელის შემოქმედებითი საღამო გაიმართა

3 არმონიული, სევდანარევი, შთამბეჭქდავი მუსიკა, რომელიც გამაფრებლად შეგაგრძნობინებს სიცოცხლეს... მერე ვიტოვებს სიცარიელეს და მელანქოლიას... ემოციურად დატვირთული კი უცნაური განცდა გეუფლება — რაღაც შეიცვალა, გათავისუფლდი ბორკილებისგან, რომელიც სულს ვიბოჭავდა... ასეთი კომპოზიციების ავტორია გია ყანჩელი, ადამიანი, რომელსაც შეუძლია რამდენიმე აკორდით შექმნას განწყობა და სწორედ ეს მუსიკა ბადებს კათარზისის გრძობას მსმენელში.

მართლა და თავიდანვე მოეხვედოდა ისეთი ნრეები, რომელმაც მიბიძგა მუსიკა სიმფონიურ ჟანრში შექმენა, კი არ მაიძულეს, მე თვითონ მომიხდა ეს მათთან მეგობრობის შედეგად, ესენი გახლდნენ ჯანსუღ კახიძე, ბიძინა ჯვერცაძე, სულხან ნასიძე, ნოდარ მებონია. მათ გარემოცვაში მყოფს არ შემძლო არ დამეწყო მუშაობა სიმფონიური მუსიკის სფეროში“ — გაიხსენა გია ყანჩელმა.

საღამოს ესწრებოდნენ თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, რეჟისორი ელდარ შენგელაია, მუსიკოსები: ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, ნიკოლოზ რაჭველი კამერულ ორკესტრ Georgian strings-თან ერთად (Georgian strings შეიქმნა საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ბაზაზე), ალტისტი გიორგი ცაგარელი, ასევე, თბილისის გოგონათა გუნდი არაჩვეულებრივ ლოტბართან და ქორმისტერთან — ომარ ბურდულთან ერთად და უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც ყანჩელის მუსიკაზე დადგმული ტანგო წარმოადგინეს. გიორგი შარვაშიძემ მადლობა გადაუხადა გია ყანჩელს მობრძანებისთვის და უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

რადგანაც საღამო თეატრისა და კინოს მუსიკას მიეძღვნა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ გია ყანჩელს არაერთი კომპოზიცია აქვს შექმნილი დრამატული სპექტაკლებისა და კინოფილმებისთვის. თავად ამასაც გამართლებას უწოდებს და ამბობს, რომ ზედმა არგუნა, ეშრომა ისეთ ადამიანებთან, რომლებმაც დიდებული სპექტაკლები დადგეს და ბრწყინვალე ფილმები გადაიღეს. მან აღნიშნა, რომ კინოში ელდარ შენგელაია და გია დანელია იყვნენ ის ადამიანები, რომლებთანაც სამუშაო პროცესი ძალიან სასიამოვნო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შედეგადაც იყო.

მოგესხენებათ, ფილმის აღსაქმელად მუსიკას გადაწყვეტილი როლი აქვს. მან უნდა უზრუნველყოს, რომ ფილმის დინამიკა არ დაეცეს, ეს კი მხოლოდ ოსტატს შეუძლია. სწორედ ასეთია ყანჩელი, იგი ახერხებს მუსიკით ფილმის იდეის გამოხატვას. რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ კომპოზიტორის სწორედ ამ ნიჭზე გაამახვილა ყურადღება და უშუალოდ მუშაობის პროცესზე ისაუბრა: „მე მჭირდებოდა კომპოზიტორი დრამატურგიული



აზროვნებით, ასეთი კი არის გია. ალბათ, სწორედ ამიტომ შედგა ჩვენი ტანდემი ფილმებში „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“. სწორედ უკანასკნელი ფილმის შესახებ აღნიშნა შემდეგ გია ყანჩელმა, რომ მან ამ ფილმისთვის 32 ნუთიანი მუსიკა შექმნა, თუმცა, სამონტაჟო მაგიდასთან დიდხანს ნვალების შემდეგ, ელდარ შენგელაიამ საბოლოოდ პატარა ეპიზოდი გამოიყენა, რომელიც დღეს ყველამ იცის.

აღსანიშნავია, რომ მონვეულმა სტუმრებმა კონცერტი სრულიად უსასყიდლოდ და უანგაროდ გამართეს: „ჩვენ პირველ რიგში მუსიკა გვიყვარს, მერე — სტუდენტები, ყველას ერთად კიდევ — გია ყანჩელის მუსიკა, ამიტომ, როცა ამდენი სიყვარული იყრის თავს, იქ არც ანაზღაურებაზეა ლაპარაკი და აღარც დროზე. დრო ჩემთვის ყველაზე რთული საკითხია, თუმცა, მაინც მოვედით, რადგან გია ყანჩელი ჩემთვის გამორჩეულია ყველაფრით — ძალიან ახლოვდებოდა, ძვირფასია, ემოციურია, მე ბევრი რამ მასწავლა მისმა მუსიკამ. შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ ასევე სუბიექტურია მთელი მისი სამშობლო და მსოფლიოს მუსიკალური საზოგადოება, გია ყანჩელი ერთადერთი ქართველი კომპოზიტორია, რომლის მუსიკაც მთელ დედამიწაზე სრულდება, რომლის სახელიც კარგად იცინა და მისი ნაწარმოებებიც მსოფლიო მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვან ნა-

წილს შეადგენს. იგი აღიარებულია, როგორც დიდი კლასიკოსი, სიმფონიური მუსიკის ავტორი. როცა მის მუსიკას ვუსმენ, მსიამოვნებს და განვიცდი, მაგრამ, როდესაც მე თვითონ ვასრულებ, უკვე სხვა სამზარეულოა, ჩაღრმავების ხარისხი მეტია. რთულია, ეს გადმოსცე, რადგან დაყრდნობილია ემოციებზე და სამუშაო პროცესში ეს ყველაფერი აისახება ნოტებში და ისეთ პრინციპებში, რომლებიც თითქოს შორს არის მუსიკისგან, მაგრამ სწორედ ამით იქმნება მუსიკა. კინოსა და თეატრის მუსიკა ჩვენში მეტად იყო ცნობილი და როდესაც მისი საიუბილეო წელი დადგა და მთელი მსოფლიოს ორკესტრებმა შეასრულეს სიმფონიური მუსიკა, ჩვენ, აკადემიური კლასიკური ნაწარმოებების გარდა, წარვადგინეთ კინოსა და თეატრისთვის შექმნილი კომპოზიციები, მათ შორის სიმღერებიც“, — აღნიშნა ნიკოლოზ რაჭველმა.

ყანჩელის ვოკალური და კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებების აუღერებისთანავე დარბაზი საოცარმა სიჩუმემ მოიცვა, ისეთმა სიმშვიდემ, რომელიც დამახასიათებელია მისი შემოქმედებისთვის, მუსიკამ, რომელშიც ყველაფერია, მთელი ცხოვრება — სიცოცხლეც, სიკვდილიც, სინანულიც, ნატვრაც, იდუმალეობაც და ბედნიერებაც. „გენიოსი“ — ეს არის სიტყვა, რომელიც დომინირებდა გია ყანჩელის დახასიათებისას.

„ყანჩელი გამორჩეულია გენიოსობით. იგი არის ადამიანი, რომლის ფასიც, ალბათ, ცოტა ჰყოლია არა მარტო საქართველოს, არამედ ძალიან დიდ ერებსაც კი. რაც შეეხება კინოსა და თეატრისთვის შექმნილ მუსიკას, ვფიქრობ, რომ ეს არის ყველაზე ინტელექტუალური და ღვთაებრივი მასალა, რომელსაც მე ვეხები. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ამ მუსიკის შესრულების შესაძლებლობა, ამავედროულად, ვგრძნობ პასუხისმგებლობასაც. ალბათ, ეს ის შემთხვევაა, როცა ყოველი ნოტი არის საფრთხილო, ეს არის ის, რისთვისაც ღირს ცხოვრება“, — ამბობს ლიზა ბაგრატიონი.

„ვფიქრობ, რომ ყანჩელის მუსიკის განსაკუთრებულობა მის

სიღრმეშია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ის ერთნაირად გასაგებია ყველა ადამიანისთვის. ჩემთვის ყანჩელის ენა მუსიკაში მშობლიური ქართული ენასავით არის — როდესაც ვასრულებ, თითქოს არც ვდგავარ მიწაზე, ეს არის ძალიან ბუნებრივი და ამავედროულად არაბუნებრივიც“, — აღნიშნა ნატო მეტონიძემ.

კომპოზიტორი 1995 წელს სამეფო სიმფონიურმა ორკესტრმა მიიწვია ბელგიაში. სწორედ ამ პერიოდიდან იგი ქალაქ ანტვერპენში მოღვაწეობს. მიუხედავად ამისა, თავად ამბობს, რომ მისთვის ყველაზე ახლოვლები პლენანოვლები არიან, უყვარს სამშობლო წრფელი და უანგარო სიყვარულით, რადგან აქ არის მისი ფესვები, აქ არის ადგილი, სადაც დაიბადა და ახალგაზრდობის წლები გალია....

საღამოსთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა ბახვა კვიციანი-ვილიამ: „საღამოს იდეა გაჩნდა ერთ ერთ სამუშაო შეხვედრაზე, რის შემდეგაც დაუკავშირდით გია ყანჩელს. იგი დიდი საამოვნებით დაგვთანხმდა და ყველა-დანიად დაგვეხმარა ამ დღესასწაულის მონაწილეობაში. მადლობა, რა თქმა უნდა, მას, ყველა მონაწილეს, რომლებიც უანგაროდ მონაწილეობდნენ ღონისძიებაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტური თვითმმართველობის იმ საორგანიზაციო ჯგუფს, რომელმაც დიდი შრომა გასწია ამ შთამბეჭქდავი საღამოს გასამართად. მოხარული ვიქნებით, თუ კიდევ იქნება მსგავსი ღონის მუსიკალური საღამოები უნივერსიტეტში და ჩვენ ვიშუშავებთ, რომ სტუდენტებს არ მოაკლდეთ ხარისხიანი მუსიკა“.

დასასრულ, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს გავიხსენებ: „ხელოვნებაა თავად უკვდავება“, საუკუნეები გავა და, მჯერა, რომ ყანჩელის მუსიკა დარჩება საქართველოს და, ზოგადად, სამყაროს სიამაყედ...“

ნინო მშვიანიძე, თსუ-ის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი



„ტვინიზის გადინების“ მასშტაბური პროცესი საქართველოში



სტუდენტებისთვის სწავლისა და განვითარების განმსაზღვრელი საკუთარი მოსახლეობაა. უფრო კონკრეტულად — განათლებული, მოაზროვნე და საინტერესო ადამიანები. ეს არის ის რესურსი, რომლის შენარჩუნებაზე ქვეყანამ არც ერთ ეტაპზე არ უნდა დაიხიოს უკან. თუმცა, ისეც ხდება, რომ ეს ადამიანები ტოვებენ საკუთარ სამშობლოს და განათლების მისაღებად სხვა ქვეყნებში მიემგზავრებიან. საქართველო ერთ-ერთი მსგავს ქვეყნებს შორისაა. ამ პროცესს „ტვინიზის გადინება“ ჰქვია, ის ქვეყნიდან მალაქვალფიციური კადრების გასვლას გულისხმობს და მას სხვადასხვა მიზეზი განაპირობებს.

„ტვინიზის გადინების“ მასშტაბური პროცესი სათავეებს 80-90-იან წლებში იღებს. ამ პრობლემებს, სხენებულ პერიოდში, ზოგადად, მიმე სოციალური და პოლიტიკური გარემო განაპირობებდა. ეს იყო დაბალი ხელფასი, უმუშევრობა და ა.შ. „საქსტატის“ მონაცემებით, 2014-2015 სასწავლო წლის დასაწყისისთვის საქართველოდან საზღვარგარეთ სასწავლებლად 434 სტუდენტი წავიდა.

არსებობს „საქართველოს კანონი დასაქმების შესახებ“. ამ კანონის მე-2 თავი სახელმწიფოსა და საქართველოს მოქალაქეების უფლებებსა და მოვალეობებს შეეხება დასაქმების სფეროში. ამავე თავის მე-6 მუხლის (სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება) მიხედვით, შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილებიდან აცილებისა და დასაქმების პრობლემების მოწესრიგების მიზნით) უმუშევრობის პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და რეალიზაცია. ასევე, ამავე თავის მე-7 მუხლის მიხედვით (საქართველოს მოქალაქის უფლებები), საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება: თავისუფლად აირჩიოს პროფესია და საქმიანობის სახეობა; დამსაქმებელთან უშუალო კონტაქტით მოიძიოს სამუშაო ადგილი; ისარგებლოს დასაქმების კერძო სააგენტოს ან დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მომსახურებით; მიიღოს კონსულტაციები და ინფორმაცია სამუშაოს დაწყების, პროფესიის არჩევის, პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ასევე, მას აქვს უფლება, აირჩიოს სამუშაო ადგილი და დაინახოს მუშაობა საზღვარგარეთ (გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით).

სხვა საკითხია, საქართველოს მაგალითზე რა განაპირობებს ქართველი ახალგაზრდების სწრაფვას საზღვარგარეთ განათლების მისაღებად. ეკონომიკის საკითხების ექსპერტის სოსო არჩვაძის შეფასებით, გამომდინარე იქიდან, რომ ინტელექტუალების მომზადებაში, სხვა საკითხებთან შედარებით, მეტი სახსრები იდება, „ტვინიზის გადინების“ პროცესი ქვეყნისთვის გრძელვადიან უარყოფით შედეგებს განაპირობებს. ის ორ მოტივს გამოყოფს, რის გამოც სხენებული პროცესი უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე: 1. ქვეყანა გარკვეულ სახსრებს დებს განათლების მიღებისთვის და 2. დაბალია შანსი იმისა, რომ საზღვარგარეთ გასული ინტელექტუალი მოსახლეობა კვლავ თავის სამშობლოში დაბრუნდება. ბატონი სოსო იმ მოტივებზეც საუბრობს, რამაც, შესაძლოა, ქართველ ახალგაზრდებს განათლების მისაღებად უცხო ქვეყანაში წასვლის სურვილი გაუჩინოს. პირველ მიზეზად იგი ასახელებს, რომ საზღვარგარეთ განათლების მისაღებად მეტი სახსრები იდება, ანუ, მაგალითად, ევროკავშირთან შედარებით საქართველოში დაბალი ხარჯების განათლებაზე; ასევე, მისივე თქმით, საქართველო გარეთ ქართველი ახალგაზრდები იოლად ახერხებენ მუშაობასა და კარიერის აწყობას, რაც მათში მოტივაციას აჩენს.

მარიამ ლეკიშვილი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. იგი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სწავლობს. მონაწილეობა მიიღო „ერასმუს“-ის პროგრამაში და, სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში, გერმანიაში, ვიადრინას უნივერსიტეტში იმყოფებოდა სასწავლებლად. მისი შეფასებით, ძირითადი განსხვავება საქართველოსა და გერმანი-

აში სწავლების მეთოდებს შორის არის ის, რომ გერმანელები უპირატესობას საკუთარი შეხედულებების წინა პლანზე წამოწევენ, ანალიზსა და კრიტიკას ანიჭებენ. რაც შეეხება პროფესიით დასაქმების საკითხს, მარიამის თქმით, გერმანიის შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც სწავლების ყველა საფეხურს დამთავრებ, სავალდებულო პრაქტიკული ან — ერთი სემესტრით საზღვარგარეთ წასვლა (გაცვლითი პროგრამით). გამომდინარე აქედან, მარიამის შეფასებით, მათთვის დასაქმება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.

მარიამისგან განსხვავებით ნინო ზარიძეს არ სურს სხვა ქვეყანაში განათლების მიღება. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია. ნინოს შეფასებით, არ არის სწორი ის აზრი, რომ თუ ახალგაზრდები საზღვარგარეთ წავლენ, სამომავლოდ მეტი პერსპექტივა ექნებათ. მისივე თქმით, ერთადერთი მიზეზი, რის გამოც საქართველოდან გასვლას ისურვებდა (მხოლოდ რამდენიმე თვით), არის ინგლისური ენის შესწავლა.

ფილოლოგი და ქ. თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი (სერტიფიცირებული) მასწავლებელი მაცაცო მალრაძე საქართველოში განათლების მიღების შესახებ საუბრობს: „ქვეყანაში განათლების მიღების შესაძლებლობის დონე სასურველ სიმაღლეზე ნამდვილად არ არის. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, პირველ ყოვლისა, ჩემი აზრით, მოუწესრიგებელი სასწავლო გარემო და სასკოლო ინფრასტრუქტურა. უფროსი თაობის მასწავლებლები, ხშირად, ჩვენს გამოცდილებას პერეოგატივად მივიჩნევთ და ნაკლებად ვცდილობთ, დროს ფეხი აუწყოთ“, — აღნიშნავს იგი. როგორც ქალბატონი მაცაცო ამბობს, თავისი სკოლის წარმატებულ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი სასწავლებლად გერმანიაში წავიდა და უკან მათი მცირე ნაწილი დაბრუნდა, თუმცა მათ არ აქვთ საკუთარი ცოდნის შესაბამისი სახელმწიფო სამსახური. მისივე თქმით, მოსწავლეთა ის ნაწილი, რომელიც დარჩა უცხოეთში, წარმატებულია სხვადასხვა სფეროში.

საქართველოდან „ტვინიზის გადინების“ მასშტაბური პროცესს, შესაბამისი მი-



მართლებით, ფსიქოლოგი მაია კალანდარიშვილიც აფასებს. იგი ახალგაზრდებში ქვეყნიდან გასვლის ტენდენციას საუბრობს და აღნიშნავს, რომ, შესაძლოა, ამ პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი მოდის აყოლა იყოს. სხვა შესაძლო მიზეზები, გარდა უმუშევრობისა და დაბალი ხელფასისა, ქალბატონი მაიას შეფასებით, არის ის, რომ საქართველოში უხეშად ირღვევა ადამიანების უფლებები.

„ტვინიზის გადინების“ აქტიური პროცესი საქართველოსთვის, ნებისმიერ დონეზე, პრობლემას წარმოადგენს. სახელმწიფოსთვის ეს პრობლემაა, რადგან ქვეყანას აკლდება უამრავი პროფესიონალი კადრი. საჭიროა, ქვეყანამ დროულად შეიმუშაოს პრობლემის გადაჭრის გეგმები და მათი მოგვარების ეფექტური გზები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოდან მალაქვალფიციური კადრების სისტემატური გადინება წამგებიანი იქნება როგორც სახელმწიფოსთვის, ისე — თითოეული მოქალაქისთვის.

მარი ტილიძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

გაცვლით პროგრამაში მონაწილე გამომცდილებას გვიზიარებს



სტუდენტისთვის საზღვარგარეთ სწავლა წარმატებული მომავლისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. თითოეულ სტუდენტს სურს, რომ განათლება ევროპის ნამყარ უნივერსიტეტებში მიიღოს. ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზა კი სწორედ გაცვლითი პროგრამებია. საქართველოში უკვე ყოველწლიურად იზრდება იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც სხვადასხვა გაცვლითი პროგრამის საშუალებით განათლება სხვადასხვა ქვეყანაში მიიღეს.

მარი ლეკიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების III კურსის სტუდენტია. ის ერთ-ერთი იმ სტუდენტთაგანია, რომელიც დღეს ევროპაში სწავლის გამოცდილებას სხვებს თამამად უზიარებს:

— მარიამ, რომელ გაცვლით პროგრამაში მიიღე მონაწილეობა და მოკლედ რომ გვსაუბრობ მის შესახებ.

— გაცვლითი პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მივიღე, „ერასმუს +“-ია. ეს არის ევროკავშირის საგრანტო პროგრამა, რომელიც ერთ სემესტრიანი და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ხორციელდება. „ერასმუს +“ აგროვებს ახორციელებს პროექტებს განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებებით. მის მიზანს განათლების მოდერნიზება, ცოდნისა და დასაქმების დონის ამაღლება, ტრენინგების განხორციელება და ახალგაზრდებთან მუშაობა წარმოადგენს.

— როგორ აღმოჩნდი ამ პროგრამაში?

— გაცვლითი პროგრამების არსებობის შესახებ, სანამ უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, მანამდეც ვიცოდი. ასე რომ, როგორც კი მეორე კურსზე გადავედი, გავიგე როდის იყო ტესტის წერის თარიღი და გამოცდაზე გავიდი. ჩემი შედეგების მიხედვით მეორე ტურში გადავედი. ამის შემდეგ საჭირო იყო საბუთების შეგროვება და გასაუბრება. საბოლოოდ მოხდა ისე, რომ გერმანიიდანაც დადებითი პასუხი ჩამოვიდა. შესაბამისად, პირველივე ცდით მოხვდი აღნიშნულ პროგრამაში.

— რა არის ყველაზე მთავარი სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად, როგორ უნდა მოემზადო გასაუბრებისთვის?

— სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად საჭიროა გქონდეს კარგი სამოტივაციო წერილი, ლექტორის რეკომენდაცია, მაღალი აკადემიური მოსწრება და, ბოლოს, წარმატებული გასაუბრება. ამ 4 კრიტერიუმს აქცევენ ყურადღებას. საბუთების შეგროვებისა და გადაგზავნის შემდეგ მეორე დღესვე მქონდა გასაუბრება, ოღონდ ისე, რომ ამის შესახებ გასაუბრების დღეს, რამდენიმე საათით ადრე გავიგე. ჩემს შემთხვევაში გასაუბრებისათვის მოსამზადებელი დრო, ფაქტობრივად, არ მქონდა. ჩემი აზრით, ამ საკითხს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. გასაუბრებიდან გამოსული ახალგაზრდები ყოველთვის სხვადასხვა ინფორმაციას ფლობდნენ. ზოგს, მაგალითად, სირიის კრიზისზე ეკითხებოდნენ, ზოგს კი ლიტერატურულ პერსონაჟებზე. საბოლოოდ, ვასკენი, რომ გასაუბრება წარმართება იმ კუთხით, როგორი კუთხითაც მას სტუდენტი „ნაიყვანს“. შესაბამისად, გასაუბრებაზე უნდა ილაპარაკონ ისე, რომ ყველაწინ ქვეყნისთვის არაუმეტესი წინ პასუხი ჰქონდეთ. გამომცემლებს წინ უდევს სამოტივაციო წერილი და მან მეტი არაფერი იცის შენს შესახებ, არც წინასწარ



დაწერილი რაიმე კითხვა აქვს, გამომდინარე აქედან, შენი ბედი მთლიანად შენს ხელშია.

— რა უპირატესობა აქვს დასავლეთის განათლების სისტემას ქართულ სისტემასთან შედარებით?

— დასავლური განათლების სისტემა მთლიანად ორიენტირებულია ნაქონული მასალის ანალიზზე, მის შენეულ ინტერპრეტაციაზე. იქ არავინ გთხოვს რაიმე მოვლენის დახეპირებას, ჩვენთან ძალიან გავრცელებული ქუიზის სისტემაც არაა იქ პოპულარული. ძირითადად ითხოვენ, რომ მასალა ნაიკითხო და ამ მასალაზე შენი მოსაზრება, შენი კრიტიკული აზრი გამოთქვა.

შეფასების სისტემაც რადიკალურად განსხვავდება ქართულისაგან. მართალია, იქაც არსებობს სხვადასხვა სახის შეფასება, თუმცა, ძირითადად, ტენდენციურია ის, რომ იქ საბოლოო ნიშანი მთელი სემესტრის მანძილზე დაგროვებული ქულათა ჯამით არ

ინერება. გაქვს უფლება აირჩიო საბოლოო გამოცდის ტიპიც. არსებობს ზეპირი გამოკითხვა და არსებობს შემაჯამებელი წერილი გამოცდაზე — წერი 15-20 გვერდიან თემას განვილიც მასალიდან და, აქედან გამომდინარე, გინერენ საბოლოო შეფასებას. ლექციებზე დასწრება სავალდებულოა, ორ-სამ გაცდენაზე მოკლე ესეს დაწერა გინევს.

ასევე არსებობს მხოლოდ სემინარის ტიპის საგნები. კითხვობს მასალას და ამ მასალაზე საუბრობ, გამოთქვამ შენს მოსაზრებას, კრიტიკას — რაში ეთანხმები, რაში — არა. მთელი 1,5 საათი ამაზე მსჯელობ, განსხვავებით საქართველოსგან, სადაც ლექტორი ხსნის მასალას და შემდგომ ვამუშავებთ ამას სახლში. ასეთი სემინარის ტიპის საგნებზე იქ პირიქით ხდება: ჯერ შენ კითხვობ მასალას, ხოლო შემდგომ განიხილავ სემინარზე.

— როგორ დამოკიდებულა აქვთ იქაურ სტუდენტებს ქართველებისა და, ზოგადად, უცხოელი სტუდენტების მიმართ?

— გამოკვეთილი დამოკიდებულება ქართველების მიმართ, რომ მოსწონთ ან არ მოსწონთ, არ შემიმჩნევია. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე „ცივ ერთან“ მქონდა ნთვის განმავლობაში შეხება, უცხოელი სტუდენტების მიმართ მათი ცული დამოკიდებულება არ მიგრძნია. თუმცა უნდა ვაღიარო ისიც, რომ ჩვენ მიმართ დიდი დაინტერესებაც არ ჰქონიათ. ისინი თავის საქმეს აკეთებდნენ, ჩვენ ჩვენსას, მაგრამ როცა რაიმე კითხვა გამიჩნდებოდა, ყოველთვის მზად იყვნენ დასახმარებლად. თუ ვეუბნებოდი, რომ გაცვლითი პროგრამით და, ამავედროულად, პირველად ვიყავი საზღვარგარეთ, ყოველთვის იყო მათგან ე.წ. საქებარი სიტყ-

სადამდე მივყავართ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას?

სადაც სამსახურიდან გამოსული ახალდაოჯახებული ახალგაზრდა, იმის მაგივრად, რომ სახლში თავის ორსულ ცოლთან წასულიყო, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და კაზინოს კარი შეაღო. თავიდან მისთვის ეს უბრალოდ გასართობი და დროის გაყვანის საშუალება იყო, მაგრამ ნელ-ნელა, 10 და 20 ლარით დაწყებული გართობა, საბოლოოდ, 3 სახლის დაკარგვით დასრულდა. აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულმა გიორგი ნებერიძემ ველარც ოჯახის შენარჩუნება მოახერხა, რადგან უსახლკაროდ დატოვა არასრულწლოვანი შვილი და მეუღლე. ყველაფრის გარეშე დარჩენილს საცხოვრებლად დედასთან გადასვლა მოუწია, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მუშაობა დაიწყო და კაზინოსაც თავი დაანება, აღარც სათამაშო ფული ჰქონდა, მაგრამ აზარტულმა თამაშებზე განიცადა პროგრესი — აზარტის მოყვარულმა გიორგიმ ცდუნებას ველარც გაუძლო და თამაში ონლაინ რეჟიმში გააგრძელა: მართალია იმდენი აღარ წაუვარა, რამდენიც კაზინოში „დატოვა“, თუმცა, საბოლოოდ, ვალების გამო ქვეყნის დატოვება მოუწია და უკანასკნელი სამი წელია უცხოეთში ცხოვრობს.



ფულის განადგობა. თითქოს კანონი იძლევა ყოველივე ამის პრევენციის საშუალებას, მაგრამ მხოლოდ ლობიერად. იური-სტი ლევან ალაფიშვილის თქმით, „მკაცრი, აკრძალვითი მიდგომით, ყველა შემთხვევაში, უკუშედეგს მივიღებთ, რადგან ძალიან დიდი სექტორი მიდის კანონმდებელსა და ძალიან ცუდი შედეგები ექნება“.

საკუთარ თავსა და საქციელზე კონტროლის დაკარგვა, საყვარელი ადამიანების რჩევებისა და თხოვნების უგულვებლყოფა, ფულის არამიზნობრივი ხარჯვა — ეს ნარკოტიკების მოხმარების კლასიკური გამოვლინებებია, თუმცა, მხოლოდ პერიოდის, ოპიუმის ან რომელიმე ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების თანმდევი შედეგები არ გახლავთ. როდესაც ადამიანი რაიმე ცუდზე და მისთვის საზიანოზე ხდება დამოკიდებული, იგივე შედეგებს იღებს, კარგავს კონტროლს და ეტაპობრივად ეშვება მის სიღრმეებში. ნარკოტიკი თუ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ანადგურებს ადამიანს, ლუდომანია (აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება) მას მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს. ადამიანები, როგორც წესი, ნელ-ნელა ეშვებიან ამ მორევში, რომლის გან თავის დაღწევასაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. მათ, უბრალოდ, მანვე ჩვევებზე უარის თქმა უჭირთ, ხოლო ბევრად უფრო ძლიერი დამოკიდებულების გამაჩენი აზარტული თამაშების „გადაგდება“ მით უფრო რთულია.

ეს მხოლოდ ერთი მაგალითია უამრავ მსგავს შემთხვევათა შორის, რომლებიც სოციალური ნარკოტიკივით მოედო თანამედროვე ახალგაზრდობას და კაზინოებიდან ინტერნეტ-სივრცეში გადაინაცვლა. ამ ბოლო ტენდენციამ კი უფროსებთან ერთად არასრულწლოვანებშიც ღრმად გაიშალა ფესვი. თუ 21 წლამდე ასაკის ადამიანს ეკრძალება კაზინოში შესვლა, ონლაინ კაზინოებში ამის კონტროლი ვერ ხერხდება, ახალგაზრდები უფროსი მეგობრების პირადობის მონობით რეგისტრირდებიან და მოგებული თანხის გამოტანის დროსაც პირადობის მფლობელებს იყენებენ.

ვიყავით მე და ჩემი ძმაკაცი და „რულეტკიდან“ „კარგი ფული მოვხსენით“. მე საღერლევი ამეშალა, თამაში მომიწია, გავაჩერებინე ტაქსი და კაზინოში შევედი. სახლში წამოსასვლელი 10 ლარის გარდა, მთელი ფული იქ დავტოვე“, — გაამხილა თავისი ისტორია საბა ბრეგვაძემ.

ეს ფაქტი ერთგვარადი არ არის და მსგავსი პრობლემა ქართველი ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს აწუხებს. სოციალურ გიორგი ნუსხელაძის (სამაგისტრო ნაშრომის — „აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება ქართველ ახალგაზრდებში“ — ავტორი) თქმით, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას ბიო-ფსიქო-სოციალური ფაქტორები იწვევს, ხოლო უშუალოდ ქართველი ახალგაზრდების კვლევისას შემდეგი მიზეზები გამოიკვეთა: გართობა, იღბლის გამოცდა, ფულის მოგების წყარო და აზარტული ჟინის მოკვლა.

თავდაპირველად ყველა ვერც აცნობიერებს, რომ ნელ-ნელა ფულის მოგების სურვილი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებაში იზრდება. ფსიქოლოგ ლიკა ბარამაძის აზრით, ქვეყნიდან დამოკიდებულებაში ფულს უმნიშვნელო ადგილი უკავია: „როგორც წესი, ეს არის პრობლემა

ადაპტაციასთან, პრობლემა სამყაროში არსებობასთან, თვითდამკვიდრებასთან. ადამიანს უჭირს იმ სამყაროს წესებით თამაში, რომელშიც ის ცხოვრობს, ამიტომ მიმართავს სათამაშო დაწესებულებებს“.

კაზინოებზე „ხანდაზმული“ ტოტალიზატორები სპორტს ახალგაზრდებისთვის უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის. გულმემატიკრობა მაშინ, როცა პარალელურად ფულის მოგებაც შეგიძლია, როგორც აღმოჩნდა, გაცილებით აზარტული და ეშხიანია, ვიდრე უბრალოდ საყვარელი გუნდის ქომაგობა. „შშირად არა, მაგრამ ტოტალიზატორშიც დავდივარ და ბილეთებს ვწერ ხოლმე, როცა კარგი თამაშებია. შაბათ-კვირას ფეხბურთის ყურებას და თან ყოველ წამს ბილეთის შემოწმებას სულ სხვა „მულაში“ აქვს. გოლს ორმაგად ელოდები და შესაბამისად ორმაგად გიხარია“, — ამბობს არასრულწლოვანი ლუკა გელოვანი, რომელიც, კანონით, საერთოდ არ უნდა დაიშვებოდეს ტოტალიზატორში.

უკონტროლოა ტოტალიზატორებში ადამიანების შესვლა, ინტერნეტ-სამყაროში კაზინოს სტუმრობა, მოგებული

თაზო ერისთავი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი

შეზღუდული მხოლოდ გარემოა, რომელშიც მათი სწავლა და ცხოვრება უნდა



2014 წელს მთავრობამ შეზღუდული შესაძლებლობის პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. ეს გეგმა შშმ პირებისთვის ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების განვითარებაზე უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფასაც ითვალისწინებს. კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა შეიქმნას სპეციალური და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სისტემა, უნდა წარმოებდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საჭიროებების უწყვეტი ანალიზი და, ასევე, ისინი უნდა უზრუნველდნენ საჭირო საგანმანათლებლო რესურსებით. საინტერესოა, რამდენადაა ადაპტირებული საქართველოს პირველი უნივერსიტეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთათვის.



თამარ მახარაძე

ეხებოდა. თამარ მახარაძის განცხადებით, იკვეთება ძირითადი სირთულეები, რაც დაკავშირებულია დასაქმების არათანაბარ პირობებთან, დასაქმებისა და საზოგადოების მხრიდან სტიგმასთან.

ცენტრის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა ასევე უნივერსიტეტში მომუშავე პროფესორებისა და აკადემიური პერსონალის გადამზადების აუცილებლობაზე: „გარდა ინფრასტრუქტურული პრობლემებისა, რაც საკმაოდ თვალშისაცემია ჩვენს უნივერსიტეტშიც და სხვაგანაც, ასევე პრობლემა თავად მომუშავე პერსონალის დამოკიდებულება შშმ სტუდენტების მიმართ. შშირად არასწორია ქცევა, დამოკიდებულება თუ სწავლების მეთოდები, რაც ხარისხიანი განათლების მისაღებადაა აუცილებელი. ვაპირებთ და მზად ვართ, გადავამზადოთ პერსონალი, რადგან ამ ადამიანური რესურსის გამოყენება შეიძლება სასიკეთოდ“, — გვითხრა მან. ინკლუზიური განათლება უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი და პრობლემატური საკითხია, რომელიც ლოკალურ დონეზე ადამიანური სტიგმებით იწყება და საბოლოოდ მასშტაბურ დონეზე საგანმანათლებლო სისტემაში პრობლემებით იკვეთება.

უახლესი მონაცემებით, უნივერსიტეტში სხვადასხვა ფაკულტეტზე 9 შშმ სტუდენტი სწავლობს, ამდენად განსხვავებულია მათი საჭიროებებიც. პირველ რიგში, ეტლით მოსარგებლე სტუდენტმა რომ შეძლოს სრულფასოვანი ინტეგრირება უმაღლესი სასწავლებლის გარემოში და მიიღოს ხარისხიანი განათლება, აუცილებელია სპეციალური ინფრასტრუქტურული მოწყობა. თსუ-ის 12 კორპუსიდან მხოლოდ რამდენიმეშია შესაძლებელი მათი გადაადგილება, სადაც სამოძრაოდ პანდუსები მოწყობილი.

მოსვლამდე ესმამ ადმინისტრაციასთან შეთანხმება სწავლებასთან დაკავშირებული ყველა დეტალი და დახმარების პირობა მიიღო. ესმამ საუბრობს უნივერსიტეტში შექმნილ პრობლემებზე: „ბიბლიოთეკის სტუდენტური დასაქმების ფარგლებში 2 სტუდენტს მისცეს 10-10 საათი ჩემთვის მასალების წასაკითხად, მაგრამ მათთან ცხრილი ვერ შევთანხმე, ამიტომ შემდგომში ჩემთვის ნაკითხვის მოვალეობა გადანაწილდა იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკის თითქმის ყველა თანამშრომელზე და ბიბლიოთეკაში მუშაობის საათებში ეთვლებათ ჩემთვის მასალების ნაკითხვა“, — ამბობს იგი.

ესმას აზრით, მთავარი პრობლემა ამ კუთხით უნივერსიტეტში არის ის, რომ რეალურად შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომი გარემო არაა ცენტრალიზებული. როგორც იგი აღნიშნავს, „ეს შშმ სტუდენტთა მცირე ოდენობითაც არის განპირობებული. უნივერსიტეტში არ არსებობს შშმ პირთა ცალკე დეპარტამენტი ან თუნდაც ერთი კოორდინატორი, რომელიც დააგროვებდა უნივერსიტეტში სხვადასხვა წლების მანძილზე არსებულ გამოცდილებას და დააკავალიანებდა შშმ სტუდენტებს“.

2014 წლიდან უნივერსიტეტში შშმ პირთა საკითხების კვლევის ცენტრი გაიხსნა, რომელიც ორიენტირებულია სპეციალური საჭიროების სტუდენტების ინტერესებსა და მათი პრობლემე-

ბის მონიტორინგზე. ცენტრის ხელმძღვანელი თამარ მახარაძე ძირითად სირთულეებზე საუბრობს: „გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ არც ერთ უნივერსიტეტში მსგავსი კვლევითი დაწესებულება არ არსებობს, რომელიც შშმ სტუდენტების პრობლემებს შეისწავლის, სწორედ ამიტომაც მივმართეთ მაშინდელ რექტორს ვლადიმერ პაპავას იდეით და საბოლოოდ ცენტრი ჩამოყალიბდა. ამავდროულად, ამ ცენტრის არსებობა შეესაბამება გაეროს კონვენციის ჩვენ ქვეყანაში რატიფიცირებას, რომლის მიხედვითაც ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს თანაბარი გარემო ხარისხიანი განათლების მისაღებად. ჩვენი ცენტრი კვლევითი ნაწილისაა, ის ახორციელებს მონიტორინგს“, — ამბობს იგი.

ორწლიანი არსებობის განმავლობაში ცენტრმა ორი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა და ორივე შშმ პირების დასაქმების პრობლემას შე-

ესმამ კი ისევ თსუ-ში აგრძელებს აქტიურად და წარმატებით სწავლას და ამტკიცებს, რომ არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები, შეზღუდულია მხოლოდ გარემო, რომელშიც მას სწავლა და ცხოვრება უნდა.

ანა ურუშაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტი



კიბოს მკურნალობის ინოვაციური მეთოდი

პირველი გვერდიდან

ექსპერიმენტული მოდელების განხორციელებაში მონაწილეობდა მორფოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი მთვარისა კორძაია, ხოლო დამიზნებითი ჰიპერთერმიის შედეგად ქსოვილში განვითარებულ ცვლილებებს ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე აანალიზებდა ინსტიტუტის კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი მ.ჯანგაჯაძე. პროექტში ჩართული იყო ახალგაზრდა მკვლევართა ჯგუფიც.

კიბოს მკურნალობის ახალ მეთოდთან დაკავშირებით გამოგონების ავტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ბ.ს.ს. სურგულაძეს ვესაუბრეთ.

— კონკრეტულად რას გულისხმობს დამიზნებითი ჰიპერთერმიული თერაპიის სამკურნალო-დიაგნოსტიკური მეთოდი და რაში გამოიხატება მისი უნიკალურობა?

— ჩვენს მიერ მოწოდებული მეთოდი ითვალისწინებს დიაგნოსტიკისა და მკურნალობისთვის ახალი პრეპარატის/მარკერის TT-Trace და ჰიპერთერმიის აპარატის TT-1 გამოყენებას. TT-Trace იძლევა სავარაუდოდ დაზიანებული ლიმფური ჯირკვლების გამოვლენის საშუალებას არა მარტო ოპერაციამდე და ოპერაციის მსვლელობის დროს, არამედ ოპერაციის შემდგომ პერიოდშიც (ლაპარაკია იმ ლიმფურ კაპილარებსა და ჯირკვლებზე, რომელთა პოვნა და ამოკვეთა ოპერაციის მსვლელობის დროს არ ხერხდება მათი მიკროსკოპუ-



ლი ზომის გამო), რაც შესაძლებელს ხდის მათზე დამიზნებით მოვახდინოთ ჰიპერთერმიული ზემოქმედება. საქმე იმაში გახლავთ, რომ პრეპარატ TT-Trace-ში შემავალი მაგნეტიტის ნაწილი ნაწილაკები ხასიათდებიან თვითგახურების ეფექტით აპარატ TT-1-ის მიერ გამოძლეულ ელექტრომაგნიტურ ველში მოხვედრისას. ტემპერატურული ეფექტი ვრცელდება მაგნეტიტის ნაწილაკების ზედაპირიდან მხოლოდ 0.5 მმ-ზე, რაც გვადლევს ქსოვილის სიღრმეში დამიზნებით მოვახდინოთ თერაპიული ზემოქმედება საღი ქსოვილების დაზიანების გარეშე, რის საშუალებასაც არ იძლევა დღეისთვის არსებული მეთოდები.

— აქვს თუ არა გვერდითი მოვლენები?

— მეთოდს გვერდითი მოვლენები არ გააჩნია. პრეპარატი არ შედის რეაქციაში ორგანიზმში არსებულ ნივთიერებებთან და

შეუცვლელი სახით გამოიყოფა ორგანიზმიდან. თერაპიული ეფექტი მიიღწევა მისი ფიზიკური და არა ქიმიური თვისებებით.

— კონკრეტულად, რამდენად ეფექტური იქნება სხვა მკურნალობის მეთოდებთან შედარებით?

— ვიმედოვნებთ, რომ მეთოდი იქნება საკმაოდ ეფექტური. თუმცა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

— როდის დაიწყება მისი აქტიური გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში?

— პრეპარატი უკვე დაშვებულია კლინიკურ კვლევაზე საქართველოს ნამლის სააგენტოს მიერ. კვლევების დაწყება დაგეგმილია ნოემბრის ბოლოს.

— საქართველოდან ვინ იყო ჩართული კვლევის პროცესში და რა როლი შეასრულეს მუშაობისას?

— მეთოდი შემუშავებულია კანადის კოროპრაცია „ფარმა კანადა“-ს მიერ.

კვლევის სხვადასხვა ეტაპზე ვთანამშრომლობდით ამერიკის, გერმანიის და საქართველოს სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან. მორფოლოგიური კვლევების ნაწილი შესრულდა საქართველოს მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე, რისთვისაც მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე მეცნიერებს, განსაკუთრებით პროფესორ დიმიტრი კორძაიას ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

— დამიზნებითი ჰიპერთერმიული თერაპიის სამკურნალო-დიაგნოსტიკური მეთოდი რამდენად ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის?

— აღნიშნული მეთოდის დაწერვა გამოიხატება გვაქვს საქართველოს რამოდენიმე კლინიკაში. მათ შორის რეგიონებშიც. ასე რომ, არ იქნება ხელმისაწვდომობის პრობლემა.

— კიბოს რომელ სახეობაზეა გათვლილი?

— მეთოდის ეფექტურობა სხვადასხვა სახის და ლოკალიზების სიმსივნეების დროს საბოლოოდ დაზუსტება კლინიკური კვლევების დასრულებისას. მართალია, მეთოდი არ ხასიათდება სპეციფიკურობით რომელიმე სიმსივნის მიმართ და ამ მიმართულებით რაიმე განსაკუთრებული შეზღუდვები არ არსებობს, მაგრამ ჯობია მეთოდის გამოყენების ოპტიმალურ ვარიანტებზე და ეფექტურობაზე ვიმსჯელოთ კლინიკისტი ონკოლოგების მიერ კლინიკური კვლევის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების შემდეგ.

ნათო მხოლაძე

რატომ უნდა გააქლიარდეს ფიზიკური დატვირთვა ახალგაზრდებში

კვლევა/რეკომენდაცია

რა ინვესტს სკლეროზს? რატომ არ უნდა მივიღოთ პურ-ფუნთუშეული გაუხუხავად? რა განაპირობებს აგრესიის შემცირებას და რატომ უნდა მივმართოთ რჩევებს ახალგაზრდებში მეტი ფიზიკური დატვირთვის თაობაზე? — საზოგადოებისთვის ამ აქტუალურ თემებს ეხმიანება პროფესორი ნუგზარ ალექსიძე, რომელმაც 29-30 ოქტომბერს ქუთაისში გამართულ დიმიტრი უზნაძის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება: „ფუნქციური ნეიროქიმიის მიღწევების ფსიქოლოგიაში გამოყენების პერსპექტივების შესახებ“.

მოხსენებაში განხილული იყო რამდენიმე პრობლემური საკითხი, რომელიც შეეხებოდა მეხსიერების ფორმირების საკითხებს, სარკისებრი ნეირონების როლს მოზარდი ბავშვების ინტელექტუალურ ფორმირებაში, მკვლელი და თვითმკვლელი ორგანიზმების ფორმირების პრობლემებს და დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“ მოდიფიცირების ნეიროქიმიურ დასაბუთებას.

1960 წელს, მეხსიერების ფორმირების მექანიზმების საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა შვედი მეცნიერის ჰოლგერ ჰიდენისა და პაულ ლანგეს სამეცნიერო შრომები, რომლებშიც მეხსიერების მატერიალურ სუბსტრატად აღიარეს ნეიროსპეციფიკური ცილა S-100 და ნუკლეინის მჟავები.

1966 წელს ნუგზარ ალექსიძის (პ. ქომეთიანთან თანაავტორობით) მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში — „მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლები“ — გაანალიზდა ჰოლგერ ჰიდენისა და პაულ ლანგეს თეორია და უარყოფილი იქნა მათი მოსაზრებები აღნიშნული ნივთიერებების განახლებადი ბუნების გამო. ნუგზარ ალექსიძემ, თანამშრომლებთან ერთად, თავის ტვინის სხვადასხვა უბნებში შეისწავლა ცილა S-100-ის რაოდენობრივი განაწილება ცხოველთა ახალი ქცევითი რეაქციის დასწავლისას — მოიპოვოს საკვები არა-დამახასიათებელი თათით. ეს მოდელი აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, ნეიროქიმიური კორელატები შესაძლებელია გამოვლინდეს მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც მეხსიერების არსებული ენგრამა ვერ აკმაყოფილებს ახალი ქცევითი რეაქციის გამოთქმას. ექსპერიმენტულად დასაბუთებული იქნა, რომ დასწავლის შედეგად მართლაც ხდება ცილა S-100-ისა და ნუკლეინის მჟავების რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა, მაგრამ დასწავლის დამთავრების შემდეგ, მათი რაოდენობა კვლავ ნორმას უბრუნდება. ამიტომ, ჰიდენისა და პაულ ლანგეს მოსაზრება ცილებისა და ნუკლეინის მჟავების მეხსიერების მატერიალურ სუბსტრატად აღიარება უარყოფილი იქნა.

მოხსენების მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი ეხებოდა ასაკთან დაკავშირებულ მეხსიერების გაცუდების პრობლემას.

ნუგზარ ალექსიძის მიხედვით, ასაკობრივ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია ქოლესტეროლისა და გლიცერიდების რაოდენობრივი მატებით (მათი რაოდენობა შესაძლებელია შემცირდეს ანაერობული პირობების შექმნით, ღრმად ჩასუნთქვითა და გახანგრძლივებული ამოსუნთქვით), აღმოჩენილი იქნა, რომ მეხსიერების გაცუდების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თავის ტვინში ნადფ H დისულფიდრედუქტაზური აქტიურობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც იწვევს თავის ტვინის ხსნადი დაბალმოლეკულური ცილების აგრეგაციას დისულფიდური ხიდაკებით და რაც საგრძნობლად აცუდებს ინფორმაციის შენახვასა და რეპროდუქციას. საგულისხმოა, რომ მეხსიერების გაცუდების პრევენციის მექანიზმის შესწავლის შედეგად გამოვლენილი იქნა ჰიდროკორტიზონი, რომლის ორგანიზმში ინექციის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ნადფ H დისულფიდრედუქტაზური აქტიურობა და 70%-ით გაუმჯობესდა ცხოველთა ახალი ქცევითი რეაქციების დასწავლა. ავტორის აზრით, საჭიროა შესწავლილი იქნეს ადამიანზე ჰიდროკორტიზონის მოქმედება და მისი პროფილაქტიკის მიზნით გამოყენების პერსპექტივა.

პროფესორმა ნუგზარ ალექსიძემ ისაუბრა მეხსიერების გაცუდების კიდევ ერთი პრობლემის, კერძოდ, ხორბლის ჩანასახში არსებული ლექტინი WGA-ის, როგორც კარდიოტოქსიკური, ნეიროტოქსიკური და იმუნოტოქსიკური ნივთიერებების შესახებ. მისი თქმით, არის მონაცემები, რომ WGA-ს გავლენით იზრდება ალცჰაიმერის, ათეროსკლეროზისა და რევმატიკური ათროიტის განვითარების რისკი. პრევენციის მიზნით, პროფესორი ნუგზარ ალექსიძე გვირჩევს, საკვებად გამოვიყენოთ



ნუგზარ ალექსიძე

გაუხუხავი პური, როცა ხდება WGA-ს დეტურაცია და ტოქსიკური თვისებების დაკარგვა. გარდა ამისა, ის გვირჩევს, რომ საკვები დავლევთ მანამ, სანამ ის კარგად არ გაჯერდება ნერწყვით, ვინაიდან სწორედ ნერწყვი არსებული გლიკოპროტეინ მუცინით ხდება WGA-ის შეშუპვა და მისი დეტურაცია.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ინფორმაციამ სარკისებრი ნეირონების როლის შესახებ ახალშობილებისა და მოზარდი ბავშვების ინტელექტის ფორმირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებმა არ იციან არც წერა და არც კითხვა, სწორედ სარკისებრი ნეირონების ჩართულობით ადვილად სწავლობენ ლაპარაკს. სარკისებრი ნეირონების ფორმირებაში აღმოჩნდა გენდერული განსხვავება. მათი ფორმირება უფრო ინტენსიურად ხდება გოგონებში. ალბათ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ გოგონები გაცილებით ადრე იწყებენ ლაპარაკს ვიდრე ვაშვები. პროფესორმა ნუგზარ ალექსიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ვერსაუკუნეში, სარკისებრი ნეირონების ფორმირებისა და სათანადო ტესტების საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლებში ბავშვების მიღება.

როდესაც სოციალურად გამდიდრებულ გარემოში 80 დღის განმავლობაში განათავსეს ცხოველები, ვირთავებში აღინიშნა თავის ტვინის ქერქის ძლიერი განვითარება და მემბრანული ენზიმების აქტიურობის გაზრდა. აღნიშნულ

პრობლემასთანაა დაკავშირებული ასევე ახალშობილებისა და მოზარდი ბავშვებისთვის ოჯახში სათანადოვით გამოდრეკილი გარემოს შექმნა. მეცნიერის თქმით, არ უნდა დაფუძვალთ ბავშვებს მათი დაშლა და ხელახლა აწყობა, ვინაიდან ეს მათი ცნობიერების ფორმირების საპასუხო რეაქციაა. ახალშობილებისა და მოზარდი ბავშვების კულტურის ჩამოყალიბებაში, ოჯახში არსებული ფსიქოემოციური მდგომარეობის გავლენით, სარკისებრი ნეირონებით ემფატიკურად ხდება ბავშვის ირგვლივ არსებული პირობების მეტყველებისა და ქცევების ათვისება, რაც გულისხმობს სარკისებრი ნეირონებით საკუთარი თავის სხვის მდგომარეობაში ჩაყენებას და მათი ქცევების შეცნობასა და ათვისებას. ოჯახში არსებული, არაჯანსაღი გარემო პირობები ძალზე სახიფათოა ბავშვების აგრესიული ფსიქოლოგიური განწყობის ჩამოყალიბებისთვის.

საზოგადოებამ დიდი ინტერესით მოისმინა ნუგზარ ალექსიძის მოხსენების ის ნაწილი, სადაც განხილული იყო მკვლელი და თვითმკვლელი ორგანიზმების ფორმირების ნეიროქიმიური საფუძვლები.

კვლევების შედეგად, დადგინდა, რომ მკვლელი ორგანიზმების ფორმირება გამოწვეულია ორგანიზმში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების მამრობითი სასქესო ჰორმონის რაოდენობის გაზრდათა და სეროტონინის რაოდენობის შემცირებით. მაგალითად, ვირთავების დაკოდვისა და წყალში ცურვით ინტენსიურად დაღლის შემდეგ ისინი ტოლერანტული გახდნენ თავგებისა და ბაყაყების მიმართ და მათი მკვლელობის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამიტომ ნუგზარ ალექსიძე რეკომენდაციას იძლევა სკოლებში გაკვეთილებს შორის გაძლიერდეს ფიზიკური დატვირთვა.

მისივე რეკომენდაციით, აგრესიული ქცევების პრევენციის მიზნით, სასურველია საკვები დანამატის სახით მივცეთ ბავშვებს სეროტონინის ნინამორბედი ამინომჟავებით გამდიდრებული საკვები-დანამატი (მგ/100გ): ჰოლანდიური ყველი (790), მდნარი ყველი (500) და სხვ. საჭიროა აგრეთვე ვიკვებოთ ნახშირწყლით

81-14 გვირდვა



ევროპული ღირებულებები და იდენტობა: ევროპეიზაციის მრავალი განზომილება

დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროპული ღირებულებების და ევროპეიზაციის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განზომილებების გააზრება და ამ საკითხზე აკადემიური დისკუსიის გაგრძელება. სწორედ ამ კონტექსტში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ევროპული ღირებულებები და იდენტობა: ევროპეიზაციის მრავალი განზომილება“.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: ნანა გუნცაძე, ლია წულაძე, ნანა მაჭარაშვილი და საფრანგეთში მცხოვრებული ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი.

კონფერენცია იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც საფუძველი ორი წლის წინ ჩაეყარა, როდესაც უნივერსიტეტსა და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში გაიმართა პირველი საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია სახელწოდებით: „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“. ამ კონფერენციის მიზანი იყო — პასუხი გაეცა ერთი შეხედვით მარტივ კითხვაზე: რატომ უნდა ავირჩიოთ ევროპული ცხოვრების წესი? რა სიკეთეს მოუტანს ის ჩვენს ქვეყანას?

მეორე საერთაშორისო კონფერენცია „ევროპული ღირებულებები და იდენტობა: ევროპეიზაციის მრავალი განზომილება“ 2016 წლის 25 ოქტომბერს გაიხსნა. საზეიმო გახსნას დაესწრნენ: თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პასკალ მენიე, საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტი ოთარ ზურაბიშვილი, საქართველოსა და ევროპის ქვეყნების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ექსპერტები და სტუდენტები.

თამარ ღალიანი

„დღეს უნივერსიტეტში საკმაოდ წარმომადგენლობითი კონფერენცია გაიხსნა, რომელზეც მსჯელობა გაიმართება ევროპული იდენტობის და საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების პერსპექტივების შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გენგვივინ საფრანგეთის, ბრიტანეთის, ბალტიისპირეთის უნივერსიტეტების პროფესორები და ექსპერტები. სექციებში მუშაობა მიეძღვნება ეროვნულ იდენტობასთან, ევროპეიზაციის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს. გაიმართება დისკუსია იმაზე, თუ რას მისცემს საქართველოს ევროკავშირის წევრობა და ევროინტეგრაცია. თუმცა დღეს უკვე შევთანხმდით, რომ საქართველო ევროპის ნაწილია, ეს არის ჩვენი არჩევანი და ამ გზას არ გადავუხვევთ“, — განაცხადა რექტორმა, რომელმაც ისაუბრა უნივერსიტეტის ბაზაზე ევროპის კოლეჯის დაარსების შესახებ. კოლეჯი ღია იქნება მთელი რეგიონის ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან ევროპული ღირებულებებით, ევროპეისტიკით და ყველა იმ საკითხით, რომელიც ერთიან ევროპას უკავშირდება.

საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში პასკალ მენიემ თავის მხრივ აღნიშნა,

რომ საქართველოს კარგი რეპუტაცია აქვს და კარგი „მონაფა“ აღმოსავლეთ სამეზობლოს პროექტში, რომ ძალიან ახლოს არის ევროპასთან და ევროპულ ქვეყნად გრძობს თავს. „იმედი გვაქვს, რომ უკვე საშობაოდ, საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში უფროდ მიმოსვლის შესაძლებლობა ექნებათ. ქართველისთვის შენგენის სივრცეში უფრო მიმოსვლა ნიშნავს, რომ ქართველები ევროპას ეკუთვნიან. საქართველოს უნდა გაუწიოთ ტექნიკური და ფინანსური დახმარება, რათა ხალხმა იგრძნოს — თუ რა პრივილეგია შეიძლება მოიტანოს ასოცირების ხელშეკრულებამ? გარდა ამისა, გვსურს ქართულ უნივერსიტეტებში სწავლებისა და კვლევის ფრანგული ხარისხი შემოვიტანოთ. დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მნიშვნელოვანი კონფერენცია იმართება, მით უმეტეს იმ დროს, როცა ევროპის წინაშე დგას ისეთი სახის კრიზისები, როგორცაა ბრექსიტი — მიგრანტებთან დაკავშირებული საკითხები. მსგავსი კონფერენცია კი კარგი საშუალებაა საზოგადოებრივი აზრის, ახალი ხედვის შესაქმნავლად“, — განაცხადა პასკალ მენიემ.

პარიზის პარი 8-ს უნივერსიტეტის პროფესორმა ჟერარ დესონმა ისაუბრა რა ფრანგულ-ქართული კულტურული თანამშრომლობის შესახებ, თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა



ფრანგული სამეცნიერო ცენტრების მიერ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებით დაინტერესების მნიშვნელობის შესახებ.

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა ნანა გუნცაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ევროპულ ღირებულებებზე მის მიერ 2 წლის წინ ჩატარებული პირველი საერთაშორისო კონფერენციის — „ევროპული ღირებულებები და იდენტობა“ — პოზიტიური შედეგები. „მოხსენებების ორენოვანი კრებული კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, ოთარ ზურაბიშვილის დახმარებით გავრცელდა საფრანგეთის რამდენიმე ქალაქის უნივერსიტეტებში, სტრასბურგში, ევროპარლამენტის ბიბლიოთეკაში და ამერიკაში, რაც მიზნად ისახავდა დასავლეთის ქვეყნებისთვის საქართველოს ევროპული მისწრაფებების დადასტურებას“, — აღნიშნა ნანა გუნცაძემ. მან აღნიშნა: „დღეს ჩვენს კონფერენციას 115-ე აუდიტორიაში ვატარებთ. ამას გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც აქვს. მოგხსენებათ, ამ აუდიტორიაში იკრიბებოდნენ სტუდენტები, რომელთა უმრავლესობა თითქმის ისე, როგორც ეს დასავლურ სამყაროში ხდება, აპროტესტებდა ნღების მანძილზე არსებული წესრიგის მიმართ შემგუფებლობას, კონფორმიზმს და შიშს ყოველგვარი სიახლის მიმართ. თუმცა ისინი მარტო პროტესტის სხვადასხვა ფორმებით როდი შემოიფარგლებოდნენ, არამედ თავის პოზიციას საკუთარი თავის მიმართ მომთხონელობის და პასუხის-

მგებლობის გაზრდითაც გამოხატავდნენ. აქვე მინდა სიხარულით გაცნობოთ, რომ კონფერენციის ფარგლებში სტუდენტებისთვის გამოცხადებულ კონკურსში სწორედ ამ სტუდენტებმა წარმოადგინეს საუკეთესო პროექტები, რასაც კონკურსის შედეგების წარმოდგენისას ბატონი ოთარ ზურაბიშვილი გააცნობთ“, — განაცხადა პროფესორმა ნანა გუნცაძემ.

კონფერენციის ფარგლებში გამოცხადებულ სტუდენტურ კონკურსში გამარჯვებულ საუკეთესო პროექტის ავტორებს, თსუ-ის სტუდენტებს: გორა ლობჯანიძეს, ნინო გოზალიშვილს, გიორგი ხიდუმელს, გუგა ბერძენიშვილს საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომოს პრეზიდენტმა ოთარ ზურაბიშვილმა გადასცა სათვისტომოს მიერ დაარსებული პრიზი „პეგასი“ (ავტორი: მოქანდაკე დარეჯან ზურაბიშვილი).

კონფერენციაზე, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, 9 სექცია მუშაობდა და მას 30 მომხსენებელი ჰყავდა როგორც საქართველოს, აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებიდან. მოხსენებების შემდეგ გაიმართა უაღრესად საინტერესო დებატები, კერძოდ, ევროპული ღირებულებისა და იდენტობის, განათლებისა და საკანონმდებლო სისტემების ევროპეიზაციის, ლიტერატურისა და ევროპული ცნობიერების, ევროპეიზაციის პროცესში ეკლესიის როლსა და საქართველოს ეკონომიკაზე ევროკავშირის გავლენის შესახებ.

სემინარი

ლევან საბაური: არიან კი მზად სანარმოები ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებით ანარმოვნ?

თამარ ღალიანი

საქართველოს ეკონომიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა და განვითარება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სამენარმეო გარემოს სრულყოფას, კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლებას, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და, შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ასევე მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო სანარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა საქართველოში, რაც განაპირობებს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობას.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვის პრობლემებსა და პერსპექტივებზე წაიკითხა საჯარო ლექცია სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებულმა პროფესორმა ლევან საბაურმა. შეხვედრა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის — „პოლიტიკონომიური საუბრები ლადო პაპავასთან“ ფარგლებში 31 ოქტომბერს გაიმართა.

მომხსენებელმა მცირე და საშუალო ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნე-



ლობაზე ისაუბრა და ლექცია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ისტორიის მიმოხილვით დაიწყო. მისი აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით შესაძლოა შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა, კერძოდ — ეკონომიკური კონიუნქტურის ცვალებადობის დარეგულირება, ეკონომიკის ჯანსაღი საკონკურენტო გარემოს შექმნა და სხვა, რაც ხელს შეუწყობს საინვესტიციო პოტენციალის განვითარებასა და ორგანიზაციების, ნარმოების, მომარაგებისა და დაფინანსების ახალი ფორმების შექმნას.

მან საინტერესოდ ისაუბრა აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის ხარისხობრივ მახასიათებლებზე, როგორცაა: შემოქ-



მედებითობა, ინიციატივა და დინამიზმი, რისკისადმი ტოლერანტობა და კონკურენტული გარემოსთვის მზარდაჭერა.

„კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მათ საგანგებო ყურადღება უნდა დაუთმონ კერძო სექტორის და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო სანარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების კონტექსტში. მის მოთხოვნებთან ადაპტაცია და მათი შესრულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სა-

ქართველოსთვის, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.

მცირე და საშუალო სანარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მენარმეობის ცნობიერების ამაღლებას. ამ სტანდარტების გამოყენება ფინანსურ ანგარიშგებაში, თავის მხრივ, განაპირობებს კომპანიების ანგარიშგების გამჭვირვალობას და, შესაბამისად, გააუმჯობესებს საინვესტიციო კაპიტალსა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას. ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა, ასევე, მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბიზნეს-პარტნიორების მოძიების თვალსაზრისით.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სააღრიცხვო სისტემის არსებობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფინანსების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესისა და ნდობის ამაღლებას, გაზრდის საქართველოს კრედიტუნარიანობას და გააუმჯობესებს საჯარო და კერძო სექტორში ინვესტიციების მოზიდვის ხარისხს“, — აღნიშნა ლევან საბაურმა.

„აუდიტორია 115“-ელი დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით ერთვება თვითმმართველობის არჩევნებში



სანდრო ტაბულაძე

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში სანდრო ტაბულაძე დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე „აუდიტორია 115“-ის აქტივობების, აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ, ამ ეტაპზე მოძრაობის სახელით აღარ საუბრობს. მან დამოუკიდებლად მოქმედება „აუდიტორია 115“-ის წევრთა უმრავლესობისგან განსხვავებული შეხედულების გამო გადაწყვიტა, რომლებიც სტუდენტური თვითმმართველობის დაგეგმილ არჩევნებს არაკონსტიტუციურს უწოდებენ. სანდრო ტაბულაძე, ასევე, არ ეთანხმებოდა „აუდიტორია 115“-ის მიერ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ოთახების დაკავებას. მისი თქმით, „სტუდენტური თვითმმართველობის ოთახების დაკავება და მათი „გამოქვეება“ არ არის „აუდიტორია 115“-ის სტილი“.

„ვერ ვიტყვი, რომ „აუდიტორია 115“-დან წამოვიდეთ, რადგან ჩემთვის „აუდიტორია 115“ არის უმაღლესი განათლების პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების ერთ-ადერთი მამოძრავებელი ძალა, თავისუფ-

ლების და ცვლილებების წყარო, რომელიც დაიწყო მარტში. ეს გაერთიანება მოიცავს ბევრ პროგრესულ იდეას, რომელთა ფორმირებაში, სხვა სტუდენტებთან ერთად, მეც მივიღე მონაწილეობა. უბრალოდ, რაღაც საკითხებზე განსხვავებული შეხედულებები მაქვს და ეს არ ნიშნავს, რომ გაერთიანება დავეტოვებ“, — განმარტა სანდრო ტაბულაძემ.

სანდრო ტაბულაძემ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა ერთადერთი მიზნით — სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოში მოსახვედრად გადაწყვიტა.

„სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა ჩემთვის საშუალებაა, რომ საფაკულტეტო საბჭოში მოვხვდე. ორი ვარიანტი იყო — დავლოდე ბოდი ცვლილებებს, რომ არჩევნების წესი შეეცვალათ და კენჭისყრა პირდაპირი წესით ჩატარებულიყო, ან ახლავე მემოქმედა. მე მეორე ვარიანტი ავირჩიე. მგონია, რომ, როგორც საფაკულტეტო საბჭოს წევრი, ბევრად მეტის გაკეთებას შევძლებ, ვიდრე უმოქმედობით. საფაკულტეტო საბჭოში სტუდენტებს 9 კვოტა აქვთ და მნიშვნელოვანია, რომ ერთი დამოუკიდებელი სტუდენტი მაინც იყოს, რომელიც ფაკულტეტის წესდების, ბიუჯეტის დამტკიცების და სხვა აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში მიიღებს მონაწილეობას. მიმაჩნია, რომ მე და „აუდიტორია 115“-ის წევრებს გვაქვს საერთო მიზანი. უბრალოდ მისი მისალმნავად განსხვავებული საშუალებებს ვიყენებთ — მათ ბოიკოტის ფორმა აირჩიეს, რომელიც გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივაზე, ჩემი გადაწყვეტილებით კი საქმე ბევრად მოკლე ვადებში გაკეთდება“, — აღნიშნა სანდრო ტაბულაძემ.

აღსანიშნავია, რომ ახალი წესის მიხედვით საფაკულტეტო საბჭოებში ის სტუდენტები მოხვდებიან, რომლებიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებენ. თითოეულ საბჭოში სტუდენტებისთვის 9 კვოტა გამოყოფილი.

ნათო მხოლაძე

ახალგაზრდა პოეტიკის სალამო თსუ-ში

ახალგაზრდა პოეტიკის „სულის ნაწილი“; ზურაბეკსპერიმენტები უყვარს; ფრიდონი ამბობს, რომ ნერაში თავისი პროფესია - ფსიქოლოგია „ეხმარება“ და კიდევ ის, რომ კახეთის ულამაზეს პატარა სოფელში, სიღნაღში დაიბადა... ნიკა ჯერ კიდევ საკუთარი სტილის ძიებაშია... შეიძლება „ნამდვილ პოეტობამდე“ ჯერ კიდევ შორია, მაგრამ ოთხ-ივესთვის წერის მთავარი მიზეზი ისევე და ისევე პოეზიის სიყვარულია...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალღოვ კორპუსში, „არაპოეტურ გარემოში“, ფრიდონ მენთეშაშვილმა, ზურაბ ინასარიძემ, ნიკა ქიმერიძემ და კახა წიგნაძემ შეძლეს თავიანთი ლექსებით რომანტიკული და პოეტური გარემოს შექმნა. თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით გამართულ პოეზიის საღამოზე დამწყებმა პოეტებმა თავიანთი შემოქმედება თანატოლებს გააცნეს.

ზურაბ ინასარიძემ თსუ-ის გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ახლა ილიას უნივერსიტეტში აგრძელებს სწავლას მაგი-სტრატურაზე. წერა 12 წლიდან დაიწყო — მაშინაც და დღესაც მისი ლექსების მთავარი თემა სიყვარულია. ზურაბს კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს, იზრომოს, რათა სერიოზული სიტყვა თქვას, რომ ბავშვური გატაცება სერიოზულ პროფესიად აქციოს. „საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ, ბევრს ვკითხულობ და ვსწავლობ, ვეძებ ახალ ფორმებს და ამიტომ ექსპერიმენტებსაც არ ვერიდები. დიდი სურვილი მაქვს, საკუთარი ნიგნი გამოვცე, მაგრამ ამას გარკვეული ფინანსები სჭირდება. იქნებ, მომავალში, თუ ამას დავისაზურებ, სპონსორიც კი გამოჩნდეს. დღეს საქართველოში პოეტების ნაკლებობა ნამდვილად არ არის, ბევრი წერს, მაგრამ მხოლოდ დრო გვიჩვენებს, ვინ ქმნის ლირებულს. ახალგაზრდობას განსაკუთრებით სჭირდება ხელშეწყობა. მიხარია, რომ დღეს საშუალება მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს გავაცნო ჩემი შემოქმედება. კარგი იქნება, თუ მომავალში თსუ-ის გამომცემლობაც დაინტერესდება ახალგაზრდა ხელოვანების შემოქმედებით და გამოსცემს კრებულს, სადაც ჩვენი ქმნილებებიც დაიბეჭდება“, — ამბობს ზურა.

ფრიდონ მენთეშაშვილიც ბავშვობიდან წერს და როგორც თვითონ ამბობს, ფურცელს ანდობს თავის ემოციებს და გრძნობებს. წერს იმაზე, რაც ახარებს, რაც სწყინს და ტკივილს აყენებს... ფრიდონის პოეზია სატროფილოც არის და პატრიოტიკულიც, სატირულიც და ნაღვლიანიც... განსაკუთრებული სიყვარულით თავის მშობლიურ კუთხეს, ქიზიყის ისხენებს და მიაჩნია, რომ მისი სოფელი ამ ქვეყნად ყველაზე ლამაზი ადგილია დედამიწაზე. „პირველ რიგში, ჩემი ქვეყნის პატრიოტი გახლავართ და ვამაყობ,

რომ ქართველი ვარ. ჩემი სოფლის სიყვარული თან დამყვება იმდენად, რომ, როდესაც სტუდენტი გავხდი, მშობლიურ კერასთან და მშობლებთან განშორება ძალიან გამიჭირდა. ამ თემაზეც დაგწერე ლექსი: ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენს საფეხქვალს სხვებსაც უზიარებ, ამიტომ უკეთესია, ახალგაზრდა შემოქმედებს უფრო ფართო ასპარეზი ჰქონდეთ“, — ამბობს ფრიდონი.

ნიკა ქიმერიძე საშურში დაიბადა და გაიზარდა. პოეზიაში პირველი ნაბიჯებიც იქ გადადგა. „ჩემი ბავშვობა სრულიად მოკლებული იყო კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, უმეტეს დროს ქუჩაში თამაშსა და წიგნის კითხვაში ვატარებდი. პირველი ლექსი სკოლაში, როგორც „სამინაო დავალება“, ისე მომცა მასწავლებელმა. ეს ჩემთვის სრულიად ახალი გამოცდა იყო. რამდენიმე სტროფი დიდი წვალებით დავწერდი, მაგრამ ეს შემთხვევა საკმარისი აღმოჩნდა პოეზიასთან დასამეგობრებლად. მას შემდეგ ვწერ და ბევრს ვკითხულობ, ვცდილობ, ჩემი წერის სტილი მქონდეს, საკუთარი გრძნობები ჩემულად გამოვცე... პოეზია ჩემი ცხოვრების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. ვწერ, როდესაც მიჭირს, როდესაც მიღიხინს და ყოველთვის, როდესაც გრძნობები მეძალება — ლექსი ყველაზე ერთგული მეგობარია. ჩემი, როგორც პოეტის პირველი დებიუტი, სკოლაში შედგა. პატარა პოეტური კრებულიც — „სიყვარული ეძებს ვენებს“ — მაშინ გამოიცა. დღეს ვთვლი, რომ ნელ-ნელა მივალწევ მიზანს. თანამედროვე მწერლობა, ჩემი აზრით, უფრო თავისუფალი იდეოლოგიისგან და მას საზღვრები არა აქვს. მეც ვცდილობ, ვიყო თავისუფალი ჩემი გრძნობების გამოვლენისას, მზად ვარ, როგორც ჯარისკაცმა, დავიცვა პოეზიის უსასრულო საზღვრები. დღეს შე-

მ-14 გვირდვა

პროფესიული „ნათლობა“ და სტუდენტური შურნალების წარმოების პრაქტიკა

თეორიული და პრაქტიკული სწავლების ეფექტურობის საუკეთესო მაგალითი აჩვენებს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებმა, რომლებმაც 4 ნოემბერს საუნივერსიტეტო საზოგადოებას შურნალები — „გზავნილი ხარაგაულიდან“ და „გზავნილი ჭიათურისგან“ წარუდგინეს. ღონისძიების ფარგლებში ასევე მოეწყო ფოტოგამოფენა და ამავე ჯგუფების მიერ თიანეთიდან და საგარეჯოდან მომზადებული შურნალების პრეზენტაცია.

თამარ ღაღინი

მაისში თსუ-ის შურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების 35 სტუდენტი სასწავლო საგნის — „ბეჭდური მედია 2-ის“ ფარგლებში, 5-5 დღით ხარაგაულისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში იმყოფებოდნენ. მედია ტურის განმავლობაში სტუდენტებმა მოიძიეს საინტერესო მასალები და რესპონდენტები შეხვდნენ გამგებობის ხელმძღვანელებს, გაეცნენ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ პრობლემებს, რეგიონის კულტურულ და სპორტულ ცხოვრებას.

„უკვე მეოთხე წელია, რაც პროექტი — „გზავნილი რეგიონებიდან“ — სასწავლო კურსის — ბეჭდური მედია-2-ის ფარგლებში თსუ-ის სტუდენტების მონაწილეობით ხორციელდება. ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროდუქტის ხარისხსა და რეგიონებიდან ჩამოტანილი გზავნილების აქტუალობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ პროექტის ფარგლებში მომზადებული მასალები და თემატიკა დიდხანს რჩება ქართული მედიის ყურადღების ცენტრში. შურნალისტიკის, როგორც სპეციალობის,

სწავლებისას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იმ თეორიულ ბაზისზე, რომელსაც სტუდენტები პირველი ორი წლის განმავლობაში იძენენ, დაშენდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა ჩვენი მიმართულების სტუდენტებმა და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა შეძლონ მედიის სფეროში ბაზარზე დამკვიდრება. ეს პროექტი ისწორედ ამას უწყობს ხელს, რადგან სტუდენტები პრაქტიკაში სწავლობენ უცხო გარემოში თემების შერჩევას, პრიორიტეტების მიხედვით მათ დალაგებას, საჭირო, საკმარისი და ადეკვატური წყაროების მოძიებასა და გადამოწმებას, შექმნილი პროდუქტის „შეფუთვას“



და მკითხველისთვის მიწოდებას. აღსანიშნავია, რომ ეს შურნალები მთლიანად მათი შემოქმედებაა, დაწყებული დაგეგმვიდან, დასრულებული დაკაბადონებითა და პრეზენტაციით. ვფიქრობ, სწორედ ამგვარი ექსპედიციები ასრულებენ ერთგვარი სახელოსნოს როლს, რომელსაც კიდევ მეტი განვითარება სჭირდება“, — აღნიშნა პროექტის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაია ტორაძემ.


პრეზენტაციაზე, შურნალის რედაქტორებმა: მარიამ ჯინჯიხაძემ („გზავნილი თიანეთიდან“), გვანცა დევიძემ („გზავნილი ჭიათურისგან“), მარიამ გვარამიამ („გზავნილი საგარეჯოდან“) და მარიამ ტყემლაშვილმა („გზავნილი ხარაგაულიდან“) სტუდენტებს შურნალზე მუშაობის პროცესის მნიშვნელოვანი დეტალები გააცნეს და იმ სირთულეებსა და გამოცდილებებზე ესაუბრნენ, რომელიც თან ახლდა „გზავნილების“ მომზადებას.



სტუდენტებს პირველი დამოუკიდებელი შურნალისტიკური პროდუქციის გამოშვება მიულოცეს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ, შურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელმა მანანა შამილიშვილმა, პროფესორმა მანანა შამილიშვილმა, მონვეულმა სტუმრებმა ხარაგაულიდან და ჭიათურისგან. „პროექტი „გზავნილი რეგიონებიდან“ კარგი და საინტერესო პროექტია, რომელიც ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ნაყოფიერ და აქტიურ საქმიანობას წარმოაჩენს. სტუდენტები პროფესიას, ხელობას არა მარტო საგნობრივად, არამედ პრაქტიკული კუთხითაც სწავლობენ. მოხარული ვიქნები, თუ ეს პროექტი ტრადიციული გახდება და სტუდენტების პროფესიულ ნათლობას შეუწყობს ხელს“, — განაცხადა რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ შურნალზე მუშაობამ შეთანხმებული და ორგანიზებული, გუნდური მუშაობა გვასწავლა. ეს არის პირველი პრაქტიკული გამოცდილება, პირველი ნაბიჯი შურნალისტიკაში, რომელიც შემდგომი ნაბიჯების გადადგმაში მოგვეხმარება“, — ასეთია შურნალ „გზავნილი ჭიათურისგან“ რედაქტორის გვანცა დევიძის შთაბეჭდილება.

პრეზენტაციაზე სტუდენტებმა ასევე აჩვენეს მცირე ფორმატიანი დოკუმენტური ფილმი ჭიათურის შესახებ (ავტორები ნიკოლოზ



თოდუა და გიორგი ქართველიშვილი), ასევე ვიდეოები მულტიმედია პროდუქციისთვის (ავტორები ანა ურუშაძე და მარიამ ტყემლაშვილი).



რატომ უნდა გააქლიერდეს ფიზიკური დატვირთვაში ახალგაზრდებში

კვლევა/რეკომენდაცია

მეთერთმეტე გვერდიდან

მდიდარი მცენარეული საკვებით, რაც ინვესსიას ორგანიზმში სეროტონინის წინამორბედი ამინომჟავა ტრიპტოფანის რაოდენობის მატებას (ხორბალი, კარტოფილი, ნახშირწყლებით მდიდარი ბოსტნეული). ორგანიზმში სეროტონინის რაოდენობა იზრდება ფიზიკური დატვირთვისას, თერაპიული მასაჟით (იოგას ვარჯიშები), სეროტონინის შემცველობაზე დადებით გავლენას ახდენს აგრეთვე კლასიკური მუსიკა და სასიამოვნო ლიტერატურის კითხვა. ამავე ფაქტორების გავლენით უმჯობესდება მეხსიერებაც.

ინტერვიუ

კონფერენციის დასრულების შემდეგ გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ კვლევის შედეგებით დაინტერესდა და რამდენიმე კითხვით მიმართა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნუზარ ალექსიძეს:

— ბატონო ნუზარ, თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ,

რა ინვესსიას სკლეროზს, რითი დამტკიცდა ამ დაავადებასთან პურ-ფუნთუშეულის კავშირი?

— უკვე აღიარებულია, რომ ხორბლის ჩანასახში არის ლექტინი WGA, რომელიც ძალიან ტოქსიკური ნივთიერებაა და ინვესსიას ალცჰაიმერის დაავადებას, ასევე იზრდება ათეროსკლეროზისა და რევმატიკული არტრიტის განვითარების რისკი. საბედნიეროდ, ბუნებამ თავად შექმნა მისი შემოკავი და გამანეიტრალებელი ნივთიერება ნერწყვის სახით, რომელიც წარმოდგენილია გლიკოპროტეინი მუცინი, რომელიც ბოჭავს მას და ახდენს მის დეტოქსიკაციას. რატომ გვირჩევენ ექიმები საკვების ხანგრძლივად ლექტინს? იმიტომ, რომ დაიშალოს? არა, მთავარია, რომ ლექტინის დროს საკვები იყოს გაჯერებული ნერწყვით, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ავიცილოთ თავიდან ლექტინი WGA-ს უარყოფითი მოქმედება.

რაც შეეხება პურს, ის გახუხული უნდა იყოს, რადგან WGA არის ცილოვანი პეპტიდი, რომლის დენატურაცაც ხდება მაღალ ტემპერატურაზე. ამ დროს ის კარგავს აქტიურობას. ამიტომ გახუხული პური ძალიან სასარგებლოა. თუ ჩვენ გახუხულ პურს მივირთმევთ, მაშინ თავიდან

ავიცილებთ რევმატიულ არტრიტსაც. ეს სერიოზული საკითხია. თუ გინდათ, რომ ნორმალურად იკვებოთ, უნდა ჭამოთ 2 ნილი ბოსტნეული და ერთი ნილი ხორციეული.

ყველაზე ბევრი ტოქსინი სწორედ ხორციშია, ამიტომ რაც ნაკლებს მიირთმევთ, ნაკლები ტოქსინი წარმოიქმნება თქვენს ორგანიზმში.

— არადა ხორცის დიეტები არსებობს...

— ხორცის ცილას, ჯობია სხვა ცილა მიიღოთ, ნადუღით ან კვერცხით. კვერცხი ძალიან სასარგებლოა, ვიტამინებით მდიდარია, მაგრამ იქაც არის ერთი ნივთიერება, კერძოდ ავიდინი, რომელიც ბოჭავს ვიტამინ ბიოტინს და ინვესსიას ანტივიტამინოზურ მდგომარეობას. ამიტომ კვერცხი უმად არ უნდა მივირთვათ, საკვებად უმჯობესია მოხარშული ან შემწვარი კვერცხი, ასეთ პირობებში ხდება ცილა ავიდინის დენატურაცია და ის კარგავს ბიოტინის შებოჭვის უნარს.

— თქვენ საინტერესოდ ისაუბრეთ აგრესიაზე და აღნიშნეთ ფიზიკური დატვირთვის აუცილებლობის თაობაზე. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, მაგრამ აგრესიის

დასათრევად ფიზიკური დატვირთვის საჭიროებაზე ბევრი არ საუბრობს...

— აგრესია განპირობებულია ნივთიერებათა მოშლით სოციალურად აგრესიული გარემოს შექმნის გამო. გავიხსენოთ საქართველოში უშუქობის, სიცივისა და სიბნელის პერიოდი. ჩვენ მიერ ასეთ პირობებში ერთი თვის განმავლობაში ცხოველთა განთავსებისას, ცხოველების თავის ტვინში, სეროტონინის რაოდენობა 50%-ით შემცირდა, შედეგად ვირთავები გახდნენ ძლიერ აგრესიულები. ალბათ, გახსოვთ, 90-იან წლებში, თუ როგორ აგრესიულობას ამჟღავნებდნენ ადამიანები ერთმანეთის მიმართ. ფიზიკური დატვირთვის დროს რა ხდება? იშლება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, მათ შორის ჰორმონებიც, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს აგრესიას. სიარული, სირბილი, ვარჯიშები, ფიზიკური დატვირთვა (სკოლებში განსაკუთრებით), აუცილებელია ჰორმონების შესამცირებლად, რაც თავისთავად გამოიწვევს აგრესიის შემცირებას.

მაია ტორაძე

დათო მალრაძის კრებულის პრეზენტაცია თსუ-ში

„უსადაურო“ ერის შიში უსათაურობაა

თსუ-ში, ყოფილ 93-ე აუდიტორიაში, სადაც წლების წინ ახალგაზრდა პოეტების თავშეყრის ადგილი იყო, ყოფილი „93-ე აუდიტორიის“ დათო მალრაძის ახალი კრებულის — „უსადაურო“ — განხილვა გაიმართა. წიგნი საუნივერსიტეტო საზოგადოების წინაშე აღუქსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ და ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ წარადგინა. ღონისძიებას დათო მალრაძის ლექსების უნგრულ ენაზე მთარგმნელი შინაძე ბაბირაკი, თსუ-ის რექტორი გიორგი მარვაშიძე, მონაწილეობის სტუმრები და ლიტერატურის კრიტიკოსები ესწრებოდნენ.

დათო მალრაძის ლექსები ყველგან და ყოველ დროს სათქმელი ლექსებია. შემთხვევითი არ არის, რომ მისი პოეზია უკვე მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნება და მის შემოქმედებას მხოლოდ საქართველოში არ ჰყავს მკითხველი. ალბათ ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ მწერალმა როსტომ ჩხეიძეს მას „მოგზაური“ და „ქართული კულტურის დესპანი“ უწოდა.

„უსადაურო“ მიმართა არა მარტო დათო მალრაძის შემოქმედებაში ერთ საუკეთესო კრებულად, არამედ ბოლო წლების ქართულ პოეზიაში წარმატებულ მონაპოვრად. ასეთი სრულფასოვანი კრებული იშვიათია... იმ არა ერთი სტატიისა,

რაც დათო მალრაძის პოეზიაზე დაწერილა ჩვენში თუ უცხოეთში, არც ერთი დასათურებულ ამგვარად: დათო მალრაძე — პოეტი-მოგზაური — ყოფილი-სიმბოლური ორიენტაციებით ყველაზე უკეთ მიგვაჩვენებს მისი და მისი ლირიკული გმირის პიროვნულ ბუნებასა და ცხოვრების სტილზე. მის მიერ შემოწერილი მარშრუტის აღდგენაც განა ნაკლებ ნაგავადგება ჩვენი ეპოქის ცივილიზებული სამყაროს ზოგადი სურათის წარმოსახვისთვის? მისმა მკითხველმა შეიძლება ხელშესახებად განიცადოს ის საზოგადოებრივ-კულტურული რეალობა, თუ რა ფონზე მიიკვლევს გზას ჩვენი სახელმწიფო ადგილის და-

სამკვიდრებლად საკაცობრიო ცხოვრებაში. დათო მალრაძის ახალი პოეტური კრებული — „უსადაურო“, გამჭვირვალე ტექსტებითა და მინიშნებებით, მხატვრულ შთამბეჭდაობასთან ერთად, საზოგადოებრივი სიმძაფრითაც განმსჭვალულა და განგამოს ზარითვი ხმინებს.

კრებული მომცროა, რაც ნიშანდობლივია დათო მალრაძის შემოქმედებითი ნატურისა და სტილისთვის — მხოლოდ აუცილებლობის დროს ამოთქვას სათქმელი და არა პოეტური ტექნიკის დემონსტრირებისთვის, უმეტესწილად ერთფეროვნების დაღს რომ ასვამს ხელხვავიან და არც თუ უნიჭო ლირიკოსთა ბომბორა წიგნებს. დათო მალრაძის პანია წიგნი კი იმ შინაგანი სივრცითაა განათებული, ასე აუცილებელი რომ გამხდარა საბედისწერო მოსახვევში მდგარი ერი-სათვის, რომელმაც კიდევ ერთხელ უნდა დააღწიოს თავი ხიფათს და რომელიც უნდა შეიქნას ბუნებრივი, სრულყოფილი ბიანი მონაწილე საკაცობრიო ცხოვრე-

ბისა (და არა ვილაცის კუდიმდევარი)“, — ამბობს როსტომ ჩხეიძე. იგი კრებულის სახელწოდებას ასე განსაზღვრავს: „ეს სიტყვა „უსადაუროს“ ასოციაციას რომ ინვესსიას, ერთმანეთს ფსიქოლოგიური ეფექტით ანუ მონაცვლეობით რომ უნდა წაეფაროს და (უსადაურობა და უსათაურობა) ამ ორმაგობით უფრო ხელშესახებად რომ განგვაცდევინოს მცირერიცხოვანი ერის შვილის ყოფა — მოქცეული მსოფლიო მღელვარებაში, სწორედ ესაა ამ სახელწოდებაში ჩადებული. უსადაურობის ზღურბლზე მდგარი ხალხის მიერ საკუთარი ფესვების შენარჩუნებისკენ სწრაფვა და, ამ ზღურბლიდან შემოტრიალების შემთხვევაში, დაინყებისთვის, უსადაურობისთვის განწირულობა — ესაა კრებულის სახელწოდების არსი“, — წერს როსტომ ჩხეიძე დათო მალრაძის შემოქმედებაზე.

გა-16 გვირგვინი


მობონებანი გარდასულ დღეთა...

XX საუკუნის 60-იანი წლები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზევების წლები იყო, როგორც განათლების, ისე სპორტის და კულტურის სფეროში. საქართველოში მაშინ დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდას და სპორტს. იგი გათვალისწინებული იყო ყველა უმაღლესი სასწავლებლის პროგრამით და სტუდენტთა ყოველკვირეულ სასწავლო დატვირთვამაც შედიოდა.

XX საუკუნის 50-იან წლებში, თსუ-ის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის რექტორს, აკადემიკოს ნიკო კეცხოველს, ზემოთ აღნიშნულ პერიოდში კი — აკადემიკოს ვეგენი ხარაძეს. ამ დროს თსუ-ის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრას კოტე ზაუტაშვილი, ხოლო სტუდენტურ სპორტულ კლუბს გიორგი (ჟორა) პატარიძე ხელმძღვანელობდა.

უნივერსიტეტში ყოველ ზაფხულს შიდა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სპარტაკიადები იმართებოდა, რაც სტუდენტებში დიდ ინტერესსა და ხალისს იწვევდა.

უნივერსიტეტის ნაკრები გუნდები წარმატებით ასპარეზობდნენ რესპუბლიკურ, ამიერკავკასიის, საკავშირო უნივერსიტეტებსა და პროფესორ-მასწავლებელთა სპორტულ შეჯიბრებებში. იმ დროისთვის გამოირჩეოდა თსუ-ის კალათბურთულ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები, რომლებიც სტუდენტური ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორები იყვნენ და ღირსეულად იცავდნენ თსუ-ის სპორტულ სახელს. მათ საკავშირო სტუდენტურ უნივერსიტეტში სპარტო მეთოდოლოგი, ხოლო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავეს. მაშინ ამხანაგური გასვლითი შეხვედრები ტარდებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების: პოლონეთის, ჩეხეთის, გერმანიის დემო-



კრატული რესპუბლიკის, ბულგარეთის უნივერსიტეტების გუნდებს შორის, სადაც მონაწილეობას თსუ-ის სტუდენტებიც იღებდნენ. ამ პერიოდში თსუ-ის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგის მოვალეობას ბატონი დავით ქაშუშაძე ასრულებდა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის უნივერსიტეტის სპორტულ მიღწევებში. შეუძლებელია მისი ამაგის დავინყება, ვეტერანი კალათბურთელები ყოველწლიურად იკრიბებიან საჩხერეში ბატონი დავითის საფლავზე და პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.

თსუ-ის ვეტერანი კალათბურთელები:

- ვიოლა ჩხაიძე,
- ივანე ფილიპოვი,
- ელზა არსოვილი,
- მზია კახანაძე,
- სარო ბაქრაძე,
- ბულიკო ბაქრაძე,
- ემა არაბიძე,
- ია ახანაძე,
- მზია წულაია,
- ქეთილე ლოლაძე,
- ბულნარა ლორთქიფანი-ლაშვი,
- ვახტანგ სხადაძე,
- ზაურ ჭყავაძე-შვილი,
- ალექსანდრა მიქაბერიძე,
- ავთო ნარაძე,
- ოზარ სიხარული,
- დათო კობახიძე.

სულ ცოტა ხნის წინ ვეტერანი კალათბურთელები თსუ-ის ბაღში მდებარე დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში შეიკრიბნენ, სადაც მოძღვარმა მამა იოსებმა სპორტული მიღწევების მთავარი ფაქტორების, ან გარდაცვლილი თანაგუნდელების, მწვრთნელების: შალვა დიასამიძის, დავით ქაშუშაძის, გივი ჩახავას, ალექსანდრე მესხის; გუნდის კაპიტნების: სპორტის ოსტატის ლამარა გენგაშვილის, მურმან ხაჭაპურიძის, ქალთა გუნდის წევრების: ნარგიზა ტყემლაშვილის, ცისანა ჯიშკაიანის, ნათელა თინიკაშვილის, მირანდა მალა-

ნიას, სვეტა ნარიშკინის, დოდო საგინაშვილის, აზა კალაშვილის, ვაჟა გუნდის წევრების: კარლო ადგიშვილის, ქართლოს ჯაფარიძის, ლარიკა ხაზარაძის, ვლადიმერ უგრეხელიძის, თემურ ქობაჩიშვილის, ნოდარ კასრძის, ზურა კირვალიძის, ოტელი თვალავაძის, მიშა ტურას, მურმან ხომერკის, კოტე ლეხანიძის, თემურ სუხანსკის, ვალიკო კანდელაკის, ქუთაისელი ილია (გუჯუ) ყიფიანის სულების მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა. მათ პატივი მიაგეს აგრეთვე ვეტერანი კალათბურთელების გარდაცვლილ შვილების: ლადო უგრეხელიძის, აკაკი ჯაფარიძის, ავთანდილ ბაქრაძის, ალექსანდრე ინასარიძის, ლევან აბულაძის და სხვა ბურჯანაძის ხსოვნას.

ვეტერანი კალათბურთელების, ჩოხოსანის, ზაურ ტყემლაშვილის ინიციატივით, მოსახსენიებელი ტრაპეზი მის „სამასპინძლო“ სახლში ჩატარდა, სადაც სხვა მნიშვნელოვან ეთნიკურ ექსპონატებთან ერთად თსუ-ის სპორტული მიღწევების ამსახველი ფოტოებია გამოფენილი. ვეტერანი კალათბურთელები ცრემლნარევი ღმილით იხსენებდნენ თითოეული თანაგუნდელის განვლილ სტუდენტურ და სპორტულ ცხოვრებას, ასპარეზობას და მიღწეულ წარმატებებს. ვეტერანმა კალათბურთელებმა, ქალაქის კოლორიტმა ვახტანგ ცხადაძემ ჩვეული იუმორით გაიხსენა გუნდის კურიოზული თავგადასავლები ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

ვეტერანებმა ასევე დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გაიხსენეს თსუ-ის რექტორები, პროფესორ მასწავლებლები, რომლებიც სპორტს, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და მას პატრიოტიზმის, სიყვარულის, მეგობრობის საწინდარად თვლიდნენ. მათი დამსახურებაა სწორედ ის ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა, რომელიც გუნდის წევრებს შორის დღემდე გრძელდება.

გურამ ლონდაძის განვლილი 80 წელი

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორს გურამ ლონდაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. ბატონი გურამი 1954 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეოლოგიის სპეციალობით, რომლის სრული კურსი წარმატებით დაამთავრა 1960 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში უფროს ტექნიკოს-გეოლოგად. ერთი წლის შემდეგ ბატონი გურამი უბრუნდება მშობლიურ უნივერსიტეტს და მუშაობას იწყებს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგია-პალეონტოლოგიის კათედრაზე – ჯერ ლაბორანტის (1961-1967 წწ.), უფროსი ლაბორანტის (1967-1968 წწ.) და ასისტენტის (1968-1971 წწ.) თანამდებობებზე. 1971-1995 წლებში მას ეკავა დოცენტის, ხოლო 1995-2006 წლებში – პროფესორის თანამდებობა. 1979-86 წლებში იყო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.



დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (1994 წ.) 1997 წელს მას პროფესორის ნიშანი მიენიჭა.

პროფესორ გ. ლონდაძის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგები ასახულია სამეცნიერო პუბლიკაციებში (59) და მონოგრაფიაში. იგი 2 სახელმძღვანელოს ავტორია. ორჯერ მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრემია.

დიდა მისი ღვაწლი ახალგაზრდა გეოლოგიური კადრების აღზრდაში, რასაც თითქმის ნახევარი საუკუნეა ემსახურება და მიუხედავად ასაკისა, დღესაც ჩვეული ენერჯითა და წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ბატონი გურამი მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის; სტუდენტები და კოლეგები მისგან ყოველთვის გრძობენ ადამიანურ სიბოძასა და გულსხმიერებას.

გეოლოგიის დეპარტამენტის კოლექტივი და სტუდენტები ულოცავენ ბატონ გურამს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ბაჰან თუთუაჩიძე,
გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ლევან საბაური: არიან კი მზად სანარმოები ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებით ანარმოონ?

მეთორმეტე გვერდიდან

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საქართველოში ფართო გავრცელების ხელშეწყობისა და გამოყენების ამაღლების საკითხი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ უფრო აქტუალური გახდა. ლევან საბაურის აზრით, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის უნდა შემუშავდეს და დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამები, ტექნიკური სახელმძღვანელოები. „ეს არის საერთაშორისო ენაზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ყველა დონორსა და ინვესტორს აძლევს საშუალებას – საერთაშორისო ენაზე მომზადებულ ანგარიშს გაეცნოს, თუ რა მდგომარეობა გააჩნია ამა თუ იმ ორგანიზაციას ფინანსური კუთხით. მაგრამ მთავარი პრობლემაა – არიან კი მზად სანარმოები ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებით ანარმოონ? დღეს ყველა ადგილობრივი მენარმე, ფაქტობრივად, საგადასახადო აღრიცხვის ახორციელებს და არ ხდება ფინანსური აღრიცხვის წარმოება. მიმდინარე წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიხედვით ვალდებულია ჩნდება, სანარმოებმა ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ანარმოონ. მაგრამ აქვე თავს იჩენს ერთი პრობლემა, რამდენად აღმოჩნდება ადამიანური რე-

სურსის მხრივ ქვეყანა მზად, სანარმოებმა სწორედ ასეთი ფინანსური ანგარიშგება ანარმოონ. ამ ეტაპზე ჩვენთან არ არსებობს სამსახური, რომელიც ამ მოთხოვნას შეასრულებს. ეს კი მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

სახელმწიფო და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ კოორდინირებული მუშაობა, რათა ეს პროცესი არ შეფერხდეს და საქართველოს სანარმოებმა ხარისხიანი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანგარიშგების მომზადება დაიწყო“, – განაცხადა ლევან საბაურმა.

მომხსენებელმა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სხვა პრობლემებზეც ისაუბრა, სტუდენტების დასმულ შეკითხვებს უპასუხა და შეხვედრის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა.

აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ მაღალი შეფასება მისცა პროფესორ ლევან საბაურის მიერ წარმოდგენილ მოხსენებას და თემაზე საუბრის გასაგრძელებლად გაზაფხულზე დაგეგმილ სემინარზე მიიწვია. მან აგრეთვე თავისი სპეკტიკური დამოკიდებულება დააფიქსირა საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების კვლევების ნაკლებობასთან დაკავშირებით. „ამ თემის კვლევას სხვა კუთხით შევხვდავი, თუ როგორ უნდა განვითარდეს ბიზნესი და რა როლი და ფუნქცია დაეკისრება მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში“, – აღნიშნა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

ოფიციალური გვერდი

№198/01-01

07.11.2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამომცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „პ“ ქვეპუნქტის, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 22 სექტემბრის №15/04 ერთობლივი ბრძანებისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის რ. ხომერიკის 2016 წლის 28 ოქტომბრის №39728/02 ნერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- გამოცხადდეს კონკურსი სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია), ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად;
- კონკურსი გამოცხადდეს 2016 წლის 10 ნოემბერს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2016 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით;
- კონკურსი ჩატარდეს საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 თვის ვადაში.
- კონკურსი ცხადდება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) — 1 საშტატო ერთეულზე.
- უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე ხელფასი განისაზღვრება თვეში 520 (ხუთას ოცი) ლარით.
- უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:
 - განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
- უმაღლესი განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- სამოტივაციო წერილი.
- სამუშაო გამოცდილება პროფილის შესაბამისად.

- ვაკანტურ თანამდებობაზე შერჩეულ პირს ეზღუდება პარალელურად მუშაობდეს სხვა ორგანიზაციაში;
- დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) თანამდებობაზე შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - დიანა ძიძიგური – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი – კომისიის თავმჯდომარე;
 - არნოლდ გეგეჭკორი – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
 - ნანული დორეული – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

- მანანა გორდუზიანი — ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი — მდივანი;
- დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი კომისიის მუშაობის წესი (დანართი №1);
- საბუთების მიღება ინარმოებს 2016 წლის 18 ნოემბრიდან 2016 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით 1000-დან 1700 საათამდე, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიაში. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ II კორპუსი;
- ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
- დაევალოს კანცელარიას ბრძანების გადაცემა და გაზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის.
- ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ნ. მუსიანიძე

დანართი №1 დამტკიცებულია სსიპ — ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 7 ნოემბრის №198/01-01 ბრძანებით

- § 1. კონკურსის მიზანი**
1. კონკურსის მიზანია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) შერჩევა.
- კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.
- § 2. კომისიის შემადგენლობა**
კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი;
- § 3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები**
საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
კონკურსის წესით უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) შერჩევა.
საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების

- შემთხვევაში მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებლად;
- კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც ექნისურაში მონაწილეობას არ ლეზულობს.
- § 4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი**
კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) თანამდებობაზე მოთხოვნებთან. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.
კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
- იმ კანდიდატების შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.
გადწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტა კომისიის თავმჯდომარის ხმა.
კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ უფროსი ლაბორანტის (ბიომრავალფეროვნების ლაბორატორია) გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;
- § 5. დაევის გადაწყვეტა**
კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.



კორპორატიული აქცია

„დღეს მეც დაურგე ხე ჩემს უნივერსიტეტს და პირველი, რაც გამახსენდა, მისაღები გამოცდების ცხელედა იყო, აგვისტოს თაკარაში ქოლგისანი მშობლების ჩივილი — რა გახდა აქ ხეების დარგვა, ჩრდილს რომ შევეფაროთო. თბილისის მერიის ამ აქციას დღეს ასობით ადამიანი შეუერთდა“, — ასე გამოხატა თავისი ემოცია თბილისის მერიის გამწვანების სამსახურის პიარის ხელმძღვანელმა ნინო კვაჭანტირაძემ 9 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მალღვი კორპუსთან გამართულ გამწვანების აქციაზე — „დაურგე ხე შენს უნივერსიტეტს“.

თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ხელშეწყობით გამართულ ღონისძიებაში აქტიურად ჩაერთნენ სტუდენტები და პროფესორები. ხეები დაურგეს უნივერსიტეტს თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. პროექტის ფარგლებში, მალღვი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე 270-მდე მთის ნეკერჩხლისა და კვიპაროსის ნერგი დაიარგო.

„ხეების დარგვა მართლაც კარგი საქმეა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია მათი მოვლა, ამაზე კი ჩვენს სტუდენტებთან ერთად უნდა ვიზრუნოთ. მისასალმებელია მერიის ინიციატივა, რომელიც თსუ-ის კურსდამთავრებულთა მომავალში ჩვენი მიზანია, თსუ-ის კურსდამთავრებულები უფრო აქტიურად ჩავართოთ უნივერსიტეტის გარემოსა და სასწავლო კვლევითი სივრცის გაუმჯობესების საქმეში“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

„ასეთი აქციები ძალიან მნიშვნელოვანია. სასიამოვნო ფაქტია, როდესაც სტუდენტები და პროფესორები, მისი ხელმძღვანელობა ერთად ზრუნავენ უნივერსიტეტში გარემოს გაუმჯობესებაზე. დღეს მეც დიდი სიამოვნებით დაურგე ხე ჩემს უნივერსიტეტს“, — განაცხადა თსუ-ის ვიცე-რექტორმა მიხეილ ჩხენკელმა.

„თავისი ხე ყველა უნივერსიტეტელმა უნდა დარგოს, ეს ამავე დროს ძალიან სასიამოვნო პროცესია. ამ აქციით ჩვენ გამოვხატავთ სიყვარულსა და პატივისცემას უნივერსიტეტის მიმართ“, — გაგვიზიარა თავისი დამოკიდებულება თსუ-ის კანცლერმა ნუნუ ოვსიანიკოვამ.

„დედაქალაქში გამწვანების ღონისძიებები ინტენსიურად გრძელდება, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის მალღვი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია თსუ-ის პროფესორებთან, ხელმძღვანელობასა



მალღვი კორპუსის სტუდენტები ყოველთვის ვწუხდით, რომ აქ ხრიოკი ადგილი და ტრიალი მინდორი იყო, ამიტომ ყველა დიდი სიხარულით ვრგავთ ხე-

და სტუდენტებთან ერთად გაგამწვანეთ. ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. საშემოდგომო რგვები გაგრძელდება დეკემბრის შუა რიცხვებამდე და თბილისის შემოგარენსა და ცენტრალურ უბნებში 80 000 ხეს დავრგავთ“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

აქციაში განსაკუთრებით ხალისით ჩაერთნენ თავად სტუდენტები — „სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო აუდიტორია, არამედ ის გარემო, რომელიც, რა თქმა უნდა, გასაუმჯობესებელია. იმედი გვაქვს, ეს აქციები გაგრძელდება და მიიღებს მასშტაბურ ხასიათს და ხეების მოჭრა კი არა, დარგვა იქნება პრიორიტეტი სახელმწიფოში და, ზოგადად, ყველა ადამიანისთვის“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტმა ალექსანდრე ყუბანეიშვილმა.

„მალღვი კორპუსის სტუდენტები ყოველთვის ვწუხდით, რომ აქ ხრიოკი ადგილი და ტრიალი მინდორი იყო, ამიტომ ყველა დიდი სიხარულით ვრგავთ ხე-



ებს, მათ მოვლაზეც ჩვენ ვიზრუნებთ, ეს ყველა უნივერსიტეტელის ვალია“, — გვითხრა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის მოადგილემ გიორგი გელაშვილმა.

ახალგაზრდა პოეტების საღამო თსუ-ში

მეცამეტე გვერდიდან

საძლთა ჩემი ისტორია ბევრისთვის არც თუ ისე საინტერესოა, მაგრამ იმედია, ოდესმე შევალბ პოეზიის იმ კარებს, რომლისკენაც წელნელა მივბიჯებ.



რელი პოეტი იოსებ გრიშაშვილია, საყვარელი მწერალი — კონსტანტინე გამსახურდია. ვფიქრობ, დღეს ბევრი საინტერესო მწერალი ცდილობს გამოვიდეს შემოქმედებით ასპარეზზე, მაგრამ მათ ხშირად სათანადო ხელშეწყობა არ აქვთ. დღევანდელი ღონისძიება კარგი მაგალითია იმისა, თუ რამდენად სჭირდებათ ახალგაზრდა მწერლებს ხელშეწყობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ მხრივ მრავალწლიანი ტრადიცია აქვს და კარგი იქნება — თუ მომავალში ახალგაზრდა მწერლებს უფრო ხშირად ექნებათ საშუალება, თავიანთი შემოქმედება ფართო საზოგადოებას გააცნონ“, — ამბობს კახა.

შურთისა ბაროშვილი



დათო მალრაძის კრებულის პრეზენტაცია თსუ-ში

მეთოთხმეტე გვერდიდან

„საგულისხმოა, რომ სათაურადანვე პოეტი შეეხმანება რუსთაველს — „სადაურსა სად წაიყვანს!“ — და, ამ შემთხვევაში, „უსადაურსა“, ალბათ, იმასაც გულისხმობს, რომ პოეტი თავისი ლექსებით თელ სამყაროს ელაპარაკება და ამიტომ სამყაროს შვილია. შეიძლება ითქვას, რომ დათო მალრაძეს „გაუმართლა“ იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი პოეზია მსოფლიოს რამდენიმე ენაზეა თარგმნილი და ეს მეტაფორული ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობითაც შეგვიძლია გავიგოთ“, — აღნიშნა მწერალმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა მაია ჯალიაშვილმა.


დავით მალრაძის ახალი კრებულის განხილვას დაესწრო უნგრელი ქართველოლოგი ჰაინალკა ბაბირაკი, რომელმაც პოეტი მსოფლიო მოქალაქედ მოიხსენია.

დათო მალრაძის ახალი კრებულის განხილვას

თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძეც ესწრებოდა, რომელმაც პოეტს საჩუქრად თსუ-ის გამომცემლობის წიგნები: „დონ კიხოტი“ და „ვეფხისტყაოსანი“ გადასცა.

„დათო მალრაძე დღეს ცნობილი პოეტი, რომლის შემოქმედებაც იცნობენ არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპასა და სხვა ქვეყნებშიც. იგი დღეს თავის მშობლიურ „93-ე აუდიტორიაში“ დაბრუნდა. სასიხარულოა, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები კვლავ ბრუნდებიან უნივერსიტეტში და გვაცნობენ თავიანთ შემოქმედებას“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

შეხვედრაზე დათო მალრაძემ თავისი ახალი კრებულიდან ლექსები წაიკითხა და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა: „მიხარია, რომ ჩემი წიგნის განხილვა უძვირფასეს ადგილას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ აუდიტორიაში გაიმართა, რომელთანაც ბევრი ძვირფასი მოგონება მაკავშირებს. მნიშვნელოვანია



ისიც, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი პრეზენტაცია. ჩემი შემოქმედების შესახებ არა ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება მოვისმინე, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებასა და შურთისა ბაროშვილს „ჩვენი მწერლობა“, განსაკუთრებით კი რო-

სტომ ჩხეიძეს, ასევე თსუ-ის ხელმძღვანელობას და დამსწრე საზოგადოებას, რომლებმაც ჩემს ირგვლივ არაჩვეულებრივი გარემო შექმნეს“, — განაცხადა და „პოეტმა-მოგზაურმა“ დათო მალრაძემ.

შურთისა ბაროშვილი

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამხატვრო რედაქტორი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ლადო პაპავა, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ქალაგანიძე, ირმა რუსაძე	ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
ფოტოკორესპონდენტი	ანა ბოლქვაძე		tsunewsaper@tsu.ge
კომპ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		2 22 36 62